

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ლაშა კაკაშვილი

ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის და უსაფრთხოების
პრიორიტეტები ბოსნია-ჰერცეგოვინასა და საქართველოში

(შედარებითი ანალიზი)

კონფლიქტების ანალიზი და მართვა
სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია კონფლიქტოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: ვახტანგ მაისაია,
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი 2018

ანოტაცია

ნაშრომი მოიცავს ევროკავშირის განვითარების ეტაპებს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში. დღესდღეობით ევროკავშირი გვევლინება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს აქტორად საერთაშორისო ასპარეზზე, რომლის მიმართაც ნდობა დღითიდღე იზრდება. იმისათვის რომ კარგად გაანალიზდეს ევროკავშირის საერთო უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა და ვნახოთ რა სირთულეები და წარმატებები ქონდა ამიტომ ტექსტში მოყვანილია ევროკავშირისთვის მნიშვნელოვანი თითოეული ეტაპი. ასევე განხილულია ევროკავშირის ინსტიტუციური მოწყობა და ის ინსტრუმენტები და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები რომლებიც მიმართული იყო უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის კუთხით. კონკრეტული მაგალითების საჭიროების გამო ტექსტში მოყვანილია ის მოქმედებები, რომლებიც ევროკავშირმა განახორციელა საქართველოსა და ბოსნია-ჰერცეგოვინაში. დეტალურად არის აღწერილი ის მოქმედებები რაც გაატარეს ამ ქვეყნებისთვის მძიმე პერიოდში და შეფასებულია მათი ეფექტიანობა. ნაშრომში ასევე შევხვდებით ევროკავშირის განსხვავებული ინსტრუმენტების გამოყენებას ამ ორ ქვეყანაში სხვადასხვა რეალობიდან გამომდინარე. ნაშრომში მოყვანილი სხვადასხვა წყაროების და მასზე დაყრდნობილი რაციონალური მსჯელობის მეშვეობით ტექსტის ბოლოს მოცემულია დასკვნა და რეკომენდაციები.

Annotation

Work includes the development of EU in defence and safety sphere. Nowadays EU has been on of the most important actor in international challenge and which is becoming more and more trustful. To realize the EU safety and defence politics better and to see what difficulties and successes it had the text shows us all the main EU phase. Also the institutional arrange and the instruments of decision instruments wich were directed on the defence and safety of foreign politics of EU. The need for specific examples there are given an actions which were done in Georgia and Bosnia-Herzegovina. There is a detailed review of an actions wich where done for these countries in a hard period and describes the effectivity of it. In a work you will also meet the different type of using instruments because of the reality in these two countries. Various sources mentioned in the work wich is based on rational reasoning there is given a conclusion and recommendations in the end.

სარჩევი

შესავალი	5
1 თავი : ევროპის საერთო უსაფრთხოება და საგარეო პოლიტიკა: ისტორია და რეალობა.....	7
1.1 ევროკავშირის ევროპული უსაფრთხოების ძირითადი პარამეტრები.....	7
1.2 ევროკავშირის როლი ევროპული უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში და ასიმეტრიული გამოწვევები (კონფლიქტები)	13
2 თავი : ევროკავშირის ახალი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის რეალური კონტურების რეგიონული მიდგომები - საქართველოსა და ბოსნია-ჰერცეგოვინას მაგალითებზე	30
2.1 ევროკავშირის მექანიზმები და ინსტრუმენტები კრიზისების მართვის საქმეში ევროპული უსაფრთხოების მიღმა.....	30
2.2 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი და ევროკავშირის სამხედრო გამოწვევა.....	41
2.3. ევროკავშირის უსაფრთხოების მიდგომები ბოსნია-ჰერცეგოვინაში - დახმარება რეფორმების გატარებიდან სამშვიდობო მისიამდე	55
დასკვნა	63
გამოყენებული ლიტერატურა.....	66

შესავალი

თემის აქტუალურობა

ევროკავშირის სტაბილურობა და მისი საერთო უსაფრთხოება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბოლოდროინდელი მოვლენების ფონზე. უკანასკნელ წლებში ევროპის შიგნით მომხდარმა კონფლიქტებმა ცხადყო, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მშვიდობის, დემოკრატიისა და ადამიანების უფლებებისადმი პატივისცემის უზრუნველყოფა მთელს ქვეყანაში. ამასთან, ევროკავშირისთვის აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს მომძლავრებული ტრანსნაციონალური დანაშაული. საკითხი მეტად აქტუალურია, რადგან კონტინენტზე მშვიდობის და სტაბილურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტი ზუსტად ევროკავშირია. საინტერესოა თუ როგორ ჩამოყალიბდა, რა გზები განვლო ევროპულმა ერთობამ, რომელიც დღესდღეისობით მნიშვნელოვანი აქტორია მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე. ევროკავშირმა მნიშვნელოვანი გზები განვლო სანამ დღევანდელ ფორმაციას მიიღებდა. ამ პერიოდის განმავლობაში იყო როგორც უამრავი წარმატება, ასევე დახუნძლული იყო ეს პერიოდი გარკვეული წარუმატებლობითაც. გასააზრებელია ასევე ევროგაერთიანების საჭირო ინსტრუმენტების და მექანიზმების სახეცვლილება დროთა განმავლობაში. საკითხის განხილვისას მნიშვნელოვანია ასევე ყურადღება მიექცეს ფუნქციების ტრანსფორმაციას დროთა განმავლობაში როდესაც ორგანიზაციის წინაშე წარმოიშვა ახალი გამოწვევები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროკავშირის მოქმედებების გაანალიზება კრიზისული სიტუაციების დროს კონკრეტულ მაგალითებზე. ამ მხრივ საინტერესოა შეფასდეს მათი მოქმედებები ევროპის ორ განსხვავებულ რეგიონში, ამიტომაც არის არჩეული ბოსნიის და საქართველოს მაგალითები. გასააზრებელია მათი განხორციელებული მოქმედებები ამ ორ ქვეყანაში და შეფასდეს მათი მოღვაწეობა რაციონალურად დამყარებული მსჯელობის მეშვეობით. აუცილებელია საზოგადოებამ დაინახოს მათი განხორციელებული ქმედებები, გამოყენებული ბერკეტები გარემოებებისა და შესაბამისად. ეს საკითხი აქტუალურია, რადგან ევროკავშირი ორივე ქვეყნისთვის მთავარი სტრატეგიული პატრნიორია საერთაშორისო ასპარეზზე. უნდა მოხდეს ლუსტრაცია იმის თუ რამდენად პროდუქტიული იყო ბოსნიის და საქართველოსთვის

განსაკუთრებით მძიმე პერიოდებში. უნდა გაეგლოს პარალელები ამ ორ ქვეყანაში განხორციელებულ მოქმედებებს კრიზისული ვითარებების დროს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეს საკითხი აქტუალურია არამარტო დღეს, არამედ სამომავლო პერსპექტივაშიც, რადგან ევროკავშირი გახლავთ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტორი პოლიტიკურ ასპარეზზე და ორივე ქვეყნისთვის ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული პარტნიორი.

ჰიპოთეზა (H1) : ევროკავშირის მიერ განხორციელებული ახალი სტრატეგიული მიმართულებები - უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა და მისი განხორციელება მიდგომები უშუალოდ ახდენენ გავლენას კრიზისული სიტუაციების განვითარებაზე ევროკავშირის სამეზობლო გეოპოლიტიკურ სივრცეზე - საქართველოსა და ბოსნია-ჰერცეგოვინას მაგალითებზე

საკვლევი კითხვები:

- 1) როგორია ევროკავშირის ახალი ამოცანები უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის სფეროში პოსტ-ბიპოლარულ სფეროში და მის უშუალო სამეზობლოში?
- 2) რამდენად ეფექტიანად მოქმედებს ევროკავშირი საკუთარი უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში კრიზისული ვითარების მოგვარების საქმეში, საუბარია საქართველოსა და ბოსნია-ჰერცეგოვინაში განვითარებული მდგომარეობაზე?

1 თავი : ევროპის საერთო უსაფრთხოება და საგარეო პოლიტიკა: ისტორია და რეალობა

1.1 ევროკავშირის ევროპული უსაფრთხოების ძირითადი პარამეტრები

ევროპული გაერთიანების საწყისად შეგვიძლია მივიჩნიოთ 1950 წელი, როდესაც საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა წამოაყენა იდეა დასავლეთ ევროპის და ფოლადის საზღვრების გაერთიანების. ამის შემდეგ, 1951 წელს შეიქმნა ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის და ფოლადის გაერთიანება, რომლის წევრიც გახდა ექვსი სახელმწიფო - ნიდერლანდები, დასავლეთ გერმანია, ლუქსემბურგი, იტალია, საფრანგეთი და ბელგია. ამ პროცესების შემდეგ სულ მალე შეიქმნა ფოლადის საერთო ბაზარიც.

“ორი წლის შემდეგ, იტალიის ქალაქ მესინაში ექვსი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები შეთანხმდნენ, რომ განეგრძოთ ინტეგრაციის პროცესი (ცნობილია მესინის ინიციატივის სახელით). შეიქმნა სამთავრობათაშორისო კომიტეტი, რომელმაც მოამზადა საფუძველი რომის ხელშეკრულებისათვის, რის შედეგადაც საფუძველი დაედო „ევროპის ეკონომიკური გაერთიანებას“. რომის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი ასპექტი იყო შეთანხმება საერთო ბაზრის შექმნის თაობაზე, რასაც მომავალში საბაჟო კავშირის ჩამოყალიბება უნდა მოჰყოლოდა. საერთო ბაზარი ითვალისწინებდა ევროგაერთიანების წევრ ქვეყნებს შორის ბარიერების გაუქმებას საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და ადამიანების გადაადგილების კუთხით. რომის ხელშეკრულებამ საფუძველი ჩაუყარა, აგრეთვე, საერთო სოფლის მეურნეობისა და საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის ჩამოყალიბებას.

რომში ცალკე ხელშეკრულებით დაარსდა ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანება, ე.წ. „ევრატომი“, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ევროპაში ატომური ენერჯის საერთო ბაზრის შექმნა, კერძოდ: ატომური ენერჯის ინდუსტრიის განვითარება, ენერჯის გადანაწილება გაერთიანების წევრ სახელმწიფოებზე და დარჩენილი რესურსის მიყიდვა არაწევრი ქვეყნებისთვის.

1967 წელს ბრიუსელის ხელშეკრულებით მოხდა ზემოხსენებული სამი ორგანიზაციის: ევროპის ნახშირისა და ფოლადის გაერთიანების, ევროპის

ეკონომიკური გაერთიანებისა (შემდგომში ევროგაერთიანება) და „ერატომის“ აღმასრულებელი ორგანოების - კომისიისა (შემდგომში ევროპული კომისიის) და საბჭოს გაერთიანება ერთ ინსტიტუციურ სისტემაში, რომელსაც „ევროპული გაერთიანებები“, ხოლო 1992 წელის მასტრიხტის ხელშეკრულების საფუძველზე - "ევროკავშირი" ეწოდა.

ევროკავშირი დღეისათვის 28 დემოკრატიული სახელმწიფოს უნიკალური პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანებაა, რომელიც მიზნად ისახავს მშვიდობის, კეთილდღეობისა და თავისუფლების უზრუნველყოფას თავისი 500 მილიონზე მეტი მოქალაქისთვის.”¹

დასაწყისში, თითოეულ ევროპულ კავშირს თავისი საბჭო და კომისია ჰქონდა. 1965 წელს კი ეს ორგანოები შეურთდნენ ერთმანეთს და უკვე თავიანთი საბჭო და კომისია გააჩნდათ.

„დღესდღეისობით ევროკავშირი შედგება რამდენიმე ძირითადი ინსტიტუტისაგან. მათ შორის აღსანიშნავია ევროკომისია, ევროპარლამენტი, ევროკავშირის საბჭო, ევროპული საბჭო, ევროპის ცენტრალური ბანკი და სხვა. ყველაზე დიდ გაუგებრობას, როგორც წესი იწვევს ევროკავშირის ორგანოების აღრევა ევროსაბჭოსა და მის ორგანოებში. ასე მაგალითად, ხშირად ზოგიერთებს ერთმანეთში ერევა ევროპარლამენტი, რომელიც ევროკავშირის ორგანო არის და ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა. განსაკუთრებით გაუგებარია ბევრისათვის ევროპაში არსებული სხვადასხვა საბჭოების რაოდენობა და ფუნქციები. შესაბამისად ხშირად ხდება ევროსაბჭოს, ევროკავშირის საბჭოს და ევროპული საბჭოს ერთმანეთში არევა. თავიდანვე უნდა განვასხვავოთ, რომ ევროსაბჭო ეს არის საერთო ევროპული ორგანიზაცია, რომელიც 1949 წელს შეიქმნა და რომლის წევრიც არის საქართველო, რაც შეეხება ევროკავშირის საბჭოს და ევროპულ საბჭოს, ისინი ევროკავშირის ოფიციალურ ინსტიტუტებს წარმოადგენენ და არაფერი აქვთ საერთო ევროსაბჭოსთან.“²

ევროპის პარლამენტი

¹ საქართველო და ევროკავშირი <http://infocenter.gov.ge/euinfo-history/#1> ბოლოს ნანახია 04.22.2018

² ევროკავშირის პოლიტიკა, სერგი კაპანაძე

„1979 წლიდან ევროპული პარლამენტის პირდაპირი არჩევნები იმართება. ევროპის პარლამენტს ირჩევენ 5 წელიწადში ერთხელ, ევროკავშირის მოქალაქეები. ის ევროკავშირში ერთადერთი პირდაპირი გზით არჩეული ინსტიტუტია.

ევროპარლამენტის მთავარ საქმიანობას ევროკომისიის მიერ წარდგენილი წინადადებების საფუძველზე ევროპული კანონმდებლობის მიღება წარმოადგენს.

ევროპარლამენტის ძირითადი ფუნქციებია: საკანონმდებლო საქმიანობა, დემოკრატიული კონტროლი და ბიუჯეტის დამტკიცება. საკანონმდებლო ფუნქციის შესრულებისას არსებობს ორი ძირითადი პროცედურა:

1. ორდინარული პროცედურა, რომელსაც ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე თანაგადაწყვეტილების პროცედურას უწოდებდნენ და რომლის თანახმადაც, ევროპარლამენტი საკანონმდებლო ფუნქციას ევროკავშირის საბჭოსთან იზიარებს - ევროპარლამენტი საკანონმდებლო აქტებსა და გადაწყვეტილებებს საბჭოსთან ერთობლივად მიიღებს.
2. სპეციალური პროცედურები: საკონსულტაციო პროცედურა, როდესაც ევროპარლამენტს მხოლოდ პოზიციის გამოხატვა შეუძლია და თანხმობის პროცედურა, როდესაც აქტის მიღებისას საჭიროა პარლამენტის თანხმობა. სპეციალური პროცედურები ხშირად არ გამოიყენება.

პარლამენტი და საბჭო ასევე იზიარებენ საერთო უფლებამოსილებას ევროკავშირის წლიური ბიუჯეტის დასამტკიცებლად. პარლამენტის დემოკრატიული კონტროლის ფუნქცია კი გამოიხატება იმაში, რომ ამტკიცებს ევროკომისიის წევრებს და შეუძლია მისთვის უნდობლობის გამოცხადება; შეუძლია, შექმნას საგამომიებო კომიტეტები, ევროკავშირის სამართლის დარღვევის ფაქტების გამოკვლევის მიზნით, მართლმსაჯულების სასამართლოში სარჩელის შეტანა ევროკავშირის სხვა ორგანოს წინააღმდეგ და სხვა. გარდა ამისა, ევროკავშირის ძირითადი ინსტიტუტები ანგარიშვალდებულნი არიან ევროპარლამენტის წინაშე. საგარეო პოლიტიკის სფეროში ევროპარლამენტის კომპეტენციაში შედის გარკვეული საერთაშორისო შეთანხმების დადებისას, ასევე ახალი წევრი ქვეყნის მიღებისას თანხმობა.

ევროპარლამენტის წევრები დამოუკიდებლები არიან გადაწყვეტილების მიღებისას და არ ექვემდებარებიან წევრი სახელმწიფოების მითითებებს. ისინი ქმნიან ფრაქციებს

პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით. ფრაქციის შექმნისათვის საჭიროა 25 პარლამენტარის თანხმობა, რომლებიც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მინიმუმ ერთ მეხუთედს უნდა წარმოადგენდნენ.

ევროკავშირის საბჭო

ევროკავშირის საბჭო შედგება ევროკავშირის ყველა ქვეყნის ეროვნულ მთავრობათა მინისტრებისგან. საბჭოს ყოველ შეხვედრას ევროკავშირის თითოეული წევრი სახელმწიფოდან ესწრება განსახილველ საკითხზე პასუხისმგებელი მინისტრი. ევროკავშირის საბჭოს აქვს როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელი უფლებამოსილებები. ევროკავშირის საბჭო ევროკავშირის გადაწყვეტილებების ძირითადი მიმღები ორგანოა. იგი იზიარებს პასუხისმგებლობას ევროპულ პარლამენტთან ევროკავშირის კანონების მიღებაზე.

ევროკავშირის საბჭო, ევროპულ პარლამენტთან ერთად, ამტკიცებს ევროკავშირის ბიუჯეტს, რომელსაც მას წარუდგენს ევროკომისია; ასევე, ამტკიცებს ევროკავშირის აუდიტორთა სასამართლოს და სხვა ორგანოების წევრებს. საბჭოს აქვს კონტროლის მექანიზმი ევროკომისიასა და ევროპარლამენტზე. სხვადასხვა წევრი სახელმწიფო ექვსთვიანი პერიოდით, მონაცვლეობით იკავებს საბჭოს პრეზიდენტობას, თავმჯდომარეობს ამ შეხვედრებს და ადგენს საერთო პოლიტიკურ დღის წესრიგს. მონაცვლეობითი პრეზიდენტობა არ ეხება საგარეო საქმეთა საბჭოს, რომლის თავმჯდომარეა ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენელი.

ლისაბონის ხელშეკრულებით, მეტი ყურადღება ეთმობა ე.წ. სამეულის თავმჯდომარეობას, რომლის ფარგლებშიც სამი შემდგომი თავმჯდომარე სახელმწიფო ერთად მუშაობს. ქვეყნების კონცენტრირებისა და თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია, სამეულმა წარადგინოს 18-თვიანი პროგრამა. გარდა ამისა, სამეულის ყველა წევრი ერთად წარმართავს საბჭოს სხდომებს (საგარეო საქმეთა საბჭოს გამოკლებით). დანარჩენი 2 თანათავმჯდომარე ქვეყანა მხარს უჭერს იმ მომენტისათვის თავმჯდომარე ქვეყანას საერთო პროგრამის ფარგლებში. მიუხედავად ამისა, ცალკეულ თავმჯდომარე ქვეყნებს კვლავინდებურად შეუძლიათ თავიანთი პრიორიტეტების ასახვა თავმჯდომარეობის 6 თვის ვადაში, მაგრამ სამეულმა უნდა

გამონახოს საერთო საფუძველი და შეთანხმებას მიაღწიოს 18-თვიანი საერთო სამუშაო ჩარჩოს შესახებ.

ევროპული საბჭო

ევროპული საბჭო შედგება წევრი ქვეყნების მთავრობის ან სახელმწიფოს მეთაურებისგან, საბჭოს პრეზიდენტისა და კომისიის პრეზიდენტთან ერთად. მის მუშაობაში მონაწილეობს ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენელი. ევროპული საბჭო განსაზღვრავს ევროკავშირის ზოგად პოლიტიკასა და პრიორიტეტებს. მას არა აქვს საკანონმდებლო ფუნქციები. ევროპის საბჭო განიხილავს იმ რთულ და სენსიტიურ საკითხებს, რომელთა გადაწყვეტაც უფრო დაბალ დონეზე ვერ მოხერხდა. ევროპის საბჭო აყალიბებს ევროკავშირის ერთიან საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას; ასევე, წარმოადგენს და ამტკიცებს კანდიდატებს გარკვეულ მაღალ თანამდებობებზე ისეთ მნიშვნელოვან დაწესებულებებში, როგორებიცაა: ევროპის ცენტრალური ბანკი და ევროკომისია. ევროპის საბჭო, როგორც წესი, იკრიბება ყოველ ექვს თვეში ორჯერ, პრეზიდენტის მოწვევით. თუ ვითარება მოითხოვს, ის სპეციალურ სხდომას იწვევს. პრეზიდენტი ორნახევარი წლის ვადით ინიშნება, ერთჯერადი განახლებით (ლისაბონის ხელშეკრულების თანახმად). ევროპის საბჭო ჩვეულებრივ ბრიუსელში იკრიბება.

ევროპული საბჭოს პრეზიდენტის თანამდებობა შემოღებულია ლისაბონის ხელშეკრულებით (2,5 წლით, მაქსიმუმ ორი ვადით) და მისი ძირითადი ფუნქციაა ევროპული საბჭოს სხდომების მომზადება. ეს ფუნქცია კრძალავს პარალელურად სხვა თანამდებობაზე ყოფნას. პრეზიდენტს ირჩევს ევროპული საბჭო, ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით.

ევროკომისია

ევროკომისია ევროკავშირის აღმასრულებელი ორგანოა და ევროკავშირის საერთო ინტერესს წარმოადგენს. იგი შეიმუშავებს ახალი ევროპული კანონების პროექტებს, რომელსაც წარუდგენს ევროპის პარლამენტსა და საბჭოს (ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხების გარდა). იგი პრაქტიკაში განახორციელებს ევროკავშირის საერთო პოლიტიკას და განაგებს ევროკავშირის ფონდებსა და პროგრამებს. კომისია აკონტროლებს ევროკავშირის ხელშეკრულებებისა და კანონების

შესრულების პროცესს. მას შეუძლია დამრღვევთა მიმართ ზომები მიიღოს და, საჭიროების შემთხვევაში, ევროპის სასამართლოსაც მიმართოს. კომისია შედგება პრეზიდენტისგან, შვიდი ვიცე-პრეზიდენტისგან (მათ შორისაა მისი პირველი ვიცე-პრეზიდენტი და საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლი) და 20 კომისრისგან – თითოეული წარმოადგენს ევროკავშირის ერთ ქვეყანას. კომისიის პრეზიდენტს ირჩევს ევროკავშირის 28 მთავრობა და ამ ტვიცებს ევროპის პარლამენტი. სხვა კომისრები ნომინირებულნი არიან მათი ეროვნული მთავრობების მიერ, ახალ პრეზიდენტთან კონსულტაციების საფუძველზე და ამტკიცებს ევროპის პარლამენტი. ისინი არ არიან თავიანთი ქვეყნების მთავრობების წარმომადგენლები, არამედ თითოეული მათგანი პასუხისმგებელია ევროკავშირის პოლიტიკის კონკრეტულ სფეროზე. ყველა მათგანი 5 წლის ვადით ირჩევა. ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო არის ევროკავშირის ინსტიტუცია, რომელიც მოიცავს მთელ სასამართლო სისტემას. იგი დაარსდა 1952 წელს და განთავსებულია ლუქსემბურგში. ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო შედგება სამი ცალკეული სასამართლოსგან: მართლმსაჯულების სასამართლო (Court of Justice), ზოგადი სასამართლო (General Court) და საჯარო სამსახურის ტრიბუნალი (Civil Service Tribunal).

ევროპის ცენტრალური ბანკი

ევროკავშირის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, ევროპის ცენტრალური ბანკი, დაარსდა 1998 წელს და მდებარეობს ფრანკფურტში (გერმანია). ევროპის ცენტრალური ბანკი პასუხისმგებელია ევროკავშირის ეკონომიკური და მონეტარული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე. ბანკის მთავარი მიზანია: 1) ფასების სტაბილურობა, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც ევროს იყენებენ და 2) ფინანსური ბაზრებისა და ინსტიტუტების კონტროლის გზით შეინარჩუნოს სტაბილური ფინანსური სისტემა. ევროპის ცენტრალური ბანკი თანამშრომლობს ევროკავშირის წევრი ქვეყნების ცენტრალურ ბანკებთან და ერთად ქმნიან ცენტრალური ბანკების ევროპულ სისტემას. იმ ქვეყნების ბანკების თანამშრომლობას, სადაც ევრო ოფიციალურ ვალუტადაა გამოცხადებული, ეწოდება ევროსისტემა.

ევროპის ცენტრალური ბანკის სტრუქტურაა: 1) აღმასრულებელი საბჭო ხელმძღვანელობს ბანკის ყოველდღიურ საქმიანობას და შედგება 8 წლის ვადით დანიშნული 6 წევრისაგან - პრეზიდენტისგან, ვიცე-პრეზიდენტისა და დამატებით 4 წევრისგან; 2) მმართველი საბჭო - განსაზღვრავს ევროზონის მონეტარულ პოლიტიკასა და საპროცენტო განაკვეთებს; 3) გენერალური საბჭო ხელს უწყობს საკოორდინაციო და საკონსულტაციო საქმიანობასა და ევროზონაში ახალი წევრების მიღებას. საბჭო შედგება ევროპის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეროვნული ცენტრალური ბანკის მმართველისაგან.³

1.2 ევროკავშირის როლი ევროპული უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში და ასიმეტრიული გამოწვევები (კონფლიქტები)

ასიმეტრიული გამოწვევები

„ასიმეტრია“ საერთაშორისო ურთიერთობებში შეგვიძლია განვსაზღვროთ, როგორც სუბიექტებს შორის იდენტურობის, მათ შორის არსებული სტრუქტურების და რესურსების ნაკლებობა ან არ არსებობა, ასევე სტრატეგიების და ტაქტიკები საერთაშორისო ურთიერთობებში.

ბოლო წლების მიმოხილვამ აჩვენა რომ, საერთაშორისო სისტემაში ასიმეტრიულ ურთიერთობებს გამოყოფენ, როგორც „ასიმეტრიული საფრთხის“, „ასიმეტრიული ომის“ და „ასიმეტრიული ომის“ ელემენტს. ყველაზე ხშირად ასიმეტრიის კონცეფცია განიხილება როგორც, სხვადასხვა სტატუსის მატარებელი ქვეყნების და მხარეების ურთიერთობები. მოკლედ განვიხილოთ რას გულისხმობს ზემოთ აღნიშნული. როგორც წესი ასიმეტრია ეს არის პარადოქსული ხასიათის მატარებელი ფაქტორი ურთიერთობებში, აქ ნაკლებად ძლიერ მოწინააღმდეგეს შეუძლია სერიოზული ზიანი მიაყენოს შედარებით ძლიერს, ხოლო ძლიერს ყოველთვის არ შეუძლია საკუთარი ინტერესების დაცვა და სუსტის დამორჩილება.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ „ასიმეტრიული საფრთხე“ გამოიყენება საერთაშორისო ტერორიზმთან მიმართებაში. საინტერესოა, რომ ერაყის

³საქართველო და ევროკავშირი, საინფორმაციო ცენტრი <http://infocenter.gov.ge/euinfo-institutions/#1>
ბოლოს ნანახია 04.22.2018

საომარი მოქმედებების გადასვლას პარტიზანულ ომში, ექსპერტები აფასებდნენ როგორც „ასიმეტრიულ კონფლიქტს“ და ადარებდნენ ვიეტნამის ომს. ერაყის ომში ნათლად გამოჩნდა ძალთა უთანასწორობა, სტატუსები და დამოკიდებულებები საომარ მოქმედებებში.

ამის ფონზე, შესაძლებელია გამოიყოს ასიმეტრიული კონფლიქტის ძირითადი მიმართულებები. ასეთ მომენტებში სუსტი მხარე ძირითად შემთხვევაში იყენებს აკრძალულ და არაპირდაპირ მოქმედებებს, ხოლო ძლიერ მხარეს ხშირ შემთხვევაში არ გააჩნია ბერკეტი დათრგუნოს ეს უკანასკნელი.

ასიმეტრიას ახასიათებს პარადოქსული კონფლიქტური სიტუაციები, სადაც ძლიერ მონაწილეს არ შეუძლია დაიცვას საკუთარი თავი და გაიმარჯვოს სუსტზე, მაგრამ ძლიერს, როგორც წესი, შეუძლია სუსტ მოწინააღმდეგეს შესთავაზოს საკუთარი პირობები, ხოლო სუსტი ძლიერს უსახელებს თავის სურვილს და ასეთი გზით აღწევს პოლიტიკურ გამარჯვებას. ასიმეტრიის კონცეფცია სხვადასხვა ქვეყნებში გამოიყენება 1960 წლიდან კონფლიქტის ანალიზისთვის. უამრავი ნაშრომის საფუძველზე შეიძლება იმის თქმა, რომ ასიმეტრიულ კონფლიქტებში წარმატება გამომდინარეობს არა იმდენად ძალისმიერი პოტენციალით, არამედ პოლიტიკური, ფსიქოლოგიური და იდეოლოგიური პარამეტრებით.

როგორც ბევრმა მკვლევარმა აღნიშნა, აუცილებელია მთლიანად საომარი მხარის ლეგიტიმაცია. ეს უკანასკნელი წარმოადგენს გადამწყვეტ ფაქტორს, როგორც სუსტისთვის, ისე ძლიერი მხარისთვის. “ენდრიუ მაკმა თავის ნაშრომში აღნიშნა , რომ ძალისმიერი შესაძლებლობების უთანასწორობა მხარეებს შორის შეიძლება ასიმეტრიული ჩანდეს ვიდრე სინამდვილეშია. ასიმეტრიული ურთიერთობები კონკრეტულ ომში და ქვეყნის შესაძლებლობებში აღწევს ქვეყნის მობილიზებას. მეორე ასიმეტრიული ტიპი ესაა „შეზღუდული და ტოტალიტარული ომები“ , ან ასიმეტრიული ტაქტიკის გამოყენება პარტიზანული დაჯგუფებების მოქმედებებში რეგულარული არმიის წინააღმდეგ.

მაკის აზრით დემოკრატიული ქვეყნები ხშირად აგებენ „პატარა ომებს“, იქიდან გამომდინარე, რომ არ შეუძლიათ მობილიზაცია გაუკეთონ და საზოგადოებას უზიძვონ ომის გაგრძელებისკენ. ის ასევე ვერ ახერხებს დაასახელოს თავისი მიზნების,

ადამიანური მსხვერპლისა და მატერიალური დანახარჯების დამარწმუნებელი და გამამართლებელი მიზეზები. შესაბამისად ომი კარგავს ლეგიტიმურობას ერის თვალში. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ იმ ქვეყნებს, რომელთაც ომი საერთო იდეის სახელით დიდი ხნის მანძილზე მიჰყავთ, შესწევთ ძალა და უნარი მატერიალური და სახალხო რესურსების უზრუნველყოფისთვის.”⁴

ასიმეტრიული ტერორიზმი და პარტიზანული ომები

2000 წლების ტერორიზმი არის ასიმეტრიული საბრძოლო მოქმედებების ვარიანტი, ტერორიზმმა სუსტი ერების ბრძოლის წესი შეცვალა პარტიზანული ომით. თანამედროვე ტერორიზმი ომის კლასიკური აღქმის ფონზე არის მოწინააღმდეგეზე იძულებითი ზეგავლენა იმ განსხვავებით, რომ ტერორისტული ბრძოლა ორიენტირებულია ასიმეტრიაზე, რომლის საშუალებითაც მოთამაშეები რომლებიც ტექნოლოგიურად და ორგანიზებულად უფრო სუსტნი არიან ვიდრე მათი ძლიერი მოწინააღმდეგე აღმოჩნდება, რომ ბრძოლის უნარიანი არიან.

ანალიზის დროს შეიძლება გამოვყოთ კონფლიქტების როგორც მდგრადი (სტრუქტურული) ასევე ცვალებადი (დინამიური) ბიმახასიათებლები. მდგრადი მახასიათებლების ქვეშ იგულისხმება ძალოვანი და რესურსული შესაძლებლობები, მხარეების ლეგალურ-კანონიერი სტატუსი, მათი მიზნები, შესაბამისი საზოგადოების მდგომარეობა და მათი დამოკიდებულება არსებულ ლკონფლიქტთან. მეორე, ცვალებადი მახასიათებლის ქვეშ იგულისხმება ორივე მხარის მიერ განხორციელებული სტრატეგია და ტაქტიკა, რომელიც გამოიყენება არსებული ძალოვანი შეუთავსებლობის კომპენსაციისთვის.

საერთაშორისო პოლიტიკაში ასიმეტრიული კონფლიქტების სფეციფიკის გათვალისწინებისადმი მისწრაფება შესამჩნევი იყო მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის განმავლობაში. უპირველეს ყოვლისა სახელმწიფოები ცდილობდნენ სამხედრო მოქმედებების სტრატეგიის ისეთ მოდიფიცირებას, რომ გაეთვალისწინებინათ მცირე კონფლიქტების შედეგები. ამ მხრივ გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები:

⁴ Why Big Nations Lose Small Wars : The Politics of Asymmetric Conflict, Andrew Mack

- ✓ შეზღუდული მასშტაბების პირდაპირი სამხედრო შეტაკებების სცენარების შემუშავება (ლოკალური ომების, „შეზღუდული ომების“, მცირე ინტენსიობი სკონქლიქტების სტრატეგიები)
- ✓ სამხედრო ძალების მომზადება მცირერიცხოვანი კონტიგენტით ბრძოლების საწარმოებლად.
- ✓ პრევენციული მოქმედებების შემოტანა არასეკულარული ფორმირებების წინააღმდეგ, დაზვერვისა და აგენტურული ქსელის მონაცემების გამოყენება
- ✓ ადგილობრივ მოსახლეობასთან კონტაქტის უზრუნველყოფა, ასევე სამხედრო და მატერიალური მხარდაჭერა ადგილობრივ საზოგადოებაში თავიანთი მომხრეებისადმი.
- ✓ სამხედრო ოპერაციების მასშტაბების შეზღუდვა და მოწინააღმდეგეზე ზეწოლის არასამხედრო მეთოდებზე გადასვლა. ცდილობდნენ, რომ ნაკლებად გამოეყენებინათ სამხედრო ძალა, არ ჩარეულიყვნენ სხვა ქვეყნები სშიდა პოლიტიკაში და გამოეყენებინათ არასამხედრო ზეწოლის მეთოდები.

ცვლილებებს განიცდინენ ასევე მოლაპარაკების პროცესები სმიდგომები :

- ✓ პირველ რიგში, მახეები უფრო ადვილად თანხმდებოდნენ მოლაპარაკებებზე
- ✓ მეორე მხრივ, ყურადღება ექცეოდა სუსტი მხარის ინტერესების დაცვას.

ერთ-ერთი იმ ფაქტორებიდან, რომელმაც გავლენა მოახდინა ასიმეტრიულ კონფლიქტებზე იყო ნორმატიულ და ღირებულებათა მიდგომების გამლიერება საერთაშორისო პოლიტიკაში. ისეთი ცნებები, როგორებიცაა სამართლიანობა და ლეგიტიმურობა, დიდი ხანია ასოცირდება ნორმების თანდაყოლილ საზოგადოებასთან, დახურულ სისტემაში, თუმცა სწორედ ამ დროს ისინი ხდებიან საერთაშორისო პოლიტიკის საფუძვლები.

ასიმეტრიული შეჯახებების სიტუაციების უსაფრთხოების აუცილებელი პირობა არის, ფასეულ-ნორმატიული სივრცის ერთიანობა, როგორც ნებაყოფლობითი არჩევანის რეზულტატი, რომელშიც მონაწილეების უმრავლესობა ურთიერთობებში იცავენ თამაშის წესებს დამალების გარეშე. ეს პირობა საერთაშორისო ურთიერთობების ჰარმონიაში ჯერ-ჯერობით არ არსებობს.

“საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად ასიმეტრიული საფრთხეებთან ბრძოლა და მათთან დაკავშირებული რისკების პრევენცია საქართველოს ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა. განსაკუთრებით საყურადღებოა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული რთული ვითარება, რაც კრიმინალისა და ორგანიზებული დანაშაულისა და ტერორიზმისათვის ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის.

ამ მიმართულებით გადაიდგმება შემდეგი ნაბიჯები :

- . ძალისხმევა მიმართული იქნება საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირებისა და ჩართულობის უზრუნველსაყოფად, რუსეთის, როგორც ოკუპანტი ძალის მიერ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული და დაგეგმლი ტერორისტული აქტებისა და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის შემთხვევებთან დაკავშირებით.

- . გაგრძელდება აქტიური მონაწილეობა ტერორიზმის, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ საერთაშორისო ბრძოლისა და მრავალეროვნულ ანტიტერორისტულ ოპერაციებში საკუთარი წვლილის შეტანის კუთხით.

- . გაგრძელდება გაერო-ს ანტიტერორისტული კონვენციებისა და ოქმებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება და აღნიშნულ სფეროში შესაბამის საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მათ შორის გაერო-სთან, ეუთო-სთან, ევროპის საბჭოსთან, ევროკავშირთან, ნატო-სთან და პარტნიორ სახელმწიფოებთან მჭიდრო თანამშრომლობა.

- . გაღრმავდება ურთიერთობები პარტნიორ სახელმწიფოებთან და შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან კიბერუსაფრთხოების საკითხებზე როგორც პრაქტიკული თანამშრომლობის განვითარების, ასევე არსებული გამოცდილების გაზიარების მიზნით. “⁵

მთავარი პარტნიორები					
გაერო	ეუთო	ევროკავშირი	ნატო	ევროპის საბჭო	პარტნიორი ქვეყნები

⁵ საქართველო საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო <http://www.mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy.aspx> ბოლოს ნანახია 05.09.2018

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ევროპაში არასტაბილური გარემო ჩამოყალიბდა. ევროპის კონტინენტზე გამოჩნდა უამრავი პრობლემა, როგორც სოციალ-პოლიტიკური ასევე ეკონომიკური. მთავარი ამოცანა იმ დროისთვის იყო იმ მძიმე ვითარებასთან ბრძოლა და შემდგომი კონფლიქტების თავიდან აცილება. ამ პერიოდში შეიქმნა უამრავი გაერთიანება, მათ შორის იყო რა თქმა უნდა ევროკავშირიც. ევროკავშირმა დიდი ისტორია განვლო და ამ დროის პროცესში უამრავი ცვლილება განახორციელა სტრუქტურის ჩამოყალიბებაში. თავიდან თუ ევროკავშირის მთავარი კომპეტენცია ეკონომიკური გაერთიანება იყო, მის ინტერესებში შევიდა ასევე მშვიდობა და უსაფრთხოება. ევროკავშირს 2012 წელს მიენიჭა ნობელის პრემიის ჯილდო მშვიდობის დარგში. ყველაზე აღსანიშნავი ისაა, რომ ევროკავშირს ძლიერი გავლენა გააჩნია არამარტო წევრ სახელმწიფოებზე, არამედ არაწევრ სახელმწიფოებზეც, რაც არაერთხელ დადასტურდა კონკრეტული მოქმედებებით. ამის ნათელი მაგალითებია: სომალის კრიზისი, კოსოვოს კონფლიქტი, საპოლიციო მისია ბოსნია-ჰერცეგოვინაში და ა.შ ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი არის ევროკავშირის როლი რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის დროს.

ევროკავშირის პოლიტიკა კრიზისების პრევენციის საწარმოებლად იყენებს ე.წ „რბილი ძალის“ ინსტრუმენტებს ანუ სხვებზე გავლენას ანხორციელებენ ძალდატანების გარეშე, საშუამავლო საქმიანობებს და პოლიტიკურ დიპლომატიას. იქიდან გამომდინარე რომ ევროკავშირი არ გახლავთ სამხედრო ორგანიზაცია, იგი ძირითადად ფოკუსირებულია კრიზისების მართვაზე და არა პრაგმატულ ძალისმიერ თავდაცვაზე. ევროკავშირის მთავარი მიზანი არა ომების მართვაა, არამედ მისი მთავარი ინტერესი მშვიდობის განმტკიცებაა. მაგრამ რა თქმა უნდა ცხადია, რომ არსებული გამოწვევების წინააღმდეგ დღევანდელ მსოფლიოში არ არის საკმარისი მხოლოდ დიპლომატიური საქმიანობა.

ევროპულ საზოგადოებას ყველაზე მძლავრი მცდელობა, რომ შეექმნათ საერთო და საგარეო თავდაცვის პოლიტიკა ჰქონდა 1950 წელს. ამ იდეის ავტორი იყო საფრანგეთის პრემიერმინისტრი. პლევენის გეგმით, უნდა გაკეთებულიყო ევროპული არმია. ეს გეგმა იყო განხილვის საგანი 2 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც გაფორმდა ხელშეკრულება, რომელმაც ჩამოაყალიბა ევროპის თავდაცვის გაერთიანება

(EDC). ამ გეგმის შემდეგ წარდგენილ იქნა ასევე პოლიტიკური პროექტი, რომელიც გულისხმობდა კონფედერაციის შექმნას. ანუ ევროპის თავდაცვის გაერთიანების მსგავსად უნდა გაკეთებულიყო პოლიტიკური ერთობა, რომელსაც ექნებოდა საკმაოდ ფართო მოვალეობები. საბოლოო ჯამში ეს გეგმა ვერ განხორციელდა. ასევე 60-იან წლებში შედგა მოლაპარაკებები საფრანგეთში, რომელსაც დაედო ფუშეს გეგმები, სადაც იყო მოწოდება ახალი პოლიტიკური თანამშრომლობისკენ, მაგრამ ამ გეგმამაც ფიასკო განიცადა. 1970 წელს ლუქსემბურგის სამიტზე წარადგინეს „დივინიონის მოხსენება“, რომელიც გახდა ევროპის პოლიტიკური თანამშრომლობის (European Political Cooperation – EPC) დასაწყისი. შემდგომში შეყვანილ იქნა ასევე საერთო ევროპულ აქტში 1987 წელს. დივინიონის მოხსენება გახლდათ დიდი პერიოდის განმავლობაში ევროგაერთიანების ქვეყნების პოლიტიკური თანამშრომლობის ძირითადი დოკუმენტი. ეპთ - ში კონსულტაციები საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე მიდიოდა და განიხილავდნენ საგარეო პოლიტიკაში არსებულ საკითხებს, ისინი წელიწადში მინიმუმ ორჯერ მაინც უნდა შეხვედრილიყვნენ.

1974 წელს ევროპული საბჭოს შექმნან EPC საქმიანობა უფრო თანმიმდევრული გახადა, რადგან ქვეყნების მეთაურებს მიეცათ როლი, რომელიც გულისხმობდა ერთობისთვის საერთო მიმართულების მიცემას. საბჭოთა კავშირის მიერ ავღანეთის დაპყრობამ და ირანში მომხდარმა ისლამურმა რევოლუციამ მიახვედრა ევროპული გაერთიანების ლიდერები რომ საერთო პოზიციის არქონა ძალიან დიდი სისუსტე იყო საგარეო პოლიტიკის წარმოებისას. ამის გამოძახილი იყო ლონდონის მოხსენება, რომელიც გულისხმობდა EPC როლის გაძლიერებას იმ მიმართულებით, რომ წევრ სახელმწიფოებს წინასწარ უნდა გაეარათ კონსულტაციები იმ საკითხებზე, რომლებსაც შეიძლება გავლენა მოეხდინა ყველა წევრ სახელმწიფოზე. 1987 წელს EPC - ს საქმიანობაში შედიოდა თითოეული ის საგარეო საკითხი, რომელიც შედიოდა წევრი ქვეყნების ინტერესებში. საბოლოოდ დროთა განმავლობაში გამოჩნდა საერთო საგარეო პოლიტიკის და საერთო სამხედრო პოლიტიკის წარმოების სირთულეები და დაბრკოლებები. ევროპელებმა დაიწყეს ფიქრი ახალ სამუშაოებზე იმ მიზნით, რომ ჩამოყალიბებულიყო ქმედითი საერთო სამხედრო და საგარეო პოლიტიკა.

1990-იანი წლებში, ევროკავშირის საუკუნეზე მეტი დასჭირდა, სამართლებრივი ბაზის შესაქმნელად, რათა განხორციელებინათ უმსხვილესი ინიციატივები უსაფრთხოების და თავდაცვის სფეროებში. ეს ბაზა ჩამოყალიბებული იყო ორ უმთავრეს დოკუმენტში ევროპის ინტეგრირების პროცესში, კერძოდ მასტრიხტის და ამსტერდამის შეთანხმებებში.

ევროპისტებს და ატლანტისებს შორის წინააღმდეგობამ, განსაკუთრებული ხასიათი მიიღო, გადამწყვეტ ბრძოლაში სრულყოფილებისკენ, რომელიც დაფუძნებული იყო ევროკავშირის აქტორებზე საერთაშორისო მმართველობის კონფერენციებზე, რომელიც მასტრიხტის შეთანხმებაში (ხელმოწერილი 1992 წლის 7 თებერვალს, ძალაში შევიდა 1993 წლის 1 ნოემბერს), აღნიშნულმა ხელშეკრულებამ ოფიციალურად გადაიტანა ევროპული საბჭო, ევროკავშირში. მანამდე, სანამ ჩატარდებოდა საერთაშორისო მმართველობის კონფერენცია, რომელშიც განიხილებოდა პოლიტიკური პრობლემები, საფრანგეთმა და გერმანიამ (საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა მიტტერანის დაკანცლერ, გელმუტა კოლის 1990 წლის, 6 დეკემბრის წერილში) შესთავაზეს ევროპული შეთანხმებების სისტემაში დაემატებინათ სპეციალური მდგომარეობის კომპლექსი, რომელიც მიძღვნილი იქნებოდა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის უსაფრთხოებისთვის.

შედარებით მსუბუქ მდგომარეობაში, ეს იდეები განხორციელდნენ V მასტრიხტის შეთანხმების ახალ ბლოკში, ევროკავშირის - “ საერთო საგარეო პოლიტიკის და პოლიტიკური უსაფრთხოების მდგომარეობის შესახებ”.

პირველად ევროკავშირის ისტორიაში, ამ ბლოკში შემუშავებული იყო მიზნები, რომლებიც საერთო საგარეო პოლიტიკის და პოლიტიკური უსაფრთხოებას ეხებოდა - “საერთო ფასეულობების და ძირითადი ინტერესების და კავშირის დამოუკიდებლობის დაცვა; კავშირის უსაფრთხოების გაძლიერება ორგანიზაცია: გაერთიანებული ერების პრინციპების შესაბამისად. ისევე როგორც, ჰელსინკის დასკვნით აქტში პარიზული ქარტიის მიზნების შესაბამისად; საერთაშორისო თანამშრომლობის მხარდაჭერა; დემოკრატიის კონსოლიდაცია და განვითარება; ადამიანის უფლებების და თავისუფლებების საკანონმდებლო დაცვა და მათი პატივისცემა”.

ევროკავშირმა, საერთო საგარეო პოლიტიკის და პოლიტიკური უსაფრთხოების სფეროებში პირველად თავის ისტორიაში, ჩართო ორი სახის საქმიანობა მასტრიხტის შეთანხმებაში. კერძოდ “საერთო პოზიციების” შესახებ საერთაშორისო პოლიტიკაში და უსაფრთხოებაში, სხვადასხვა პრობლემებთან დაკავშირულ საკითხებზე და “საერთო ქმედებები”, რომლებსაც იყენებენ ევროკავშირის წევრები.

მასტრიხტის შეთანხმებამ წარმატებით შეაფასა ევროკავშირის წევრების, სხვა პოლიტიკური ფორმის ურთიერთქმედებები, მაგალითად: „მესამე სამყაროში“ დიპლომატიური და საკონსულო მისიების შემუშავება და მათი თანამშრომლობა. ევროკავშირის დელეგაციის ერთობლივი ქმედებები საერთაშორისო კონფერენციებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში, სამომავლო მისიების შემუშავება ინფორმაციის, მოსაზრებების და პოზიციების გაცვლის სფეროში.

მასტრიხტის შეთანხმებას ჰქონდა თავშეკავებული დამოკიდებულება თავდაცვის პრობლემასთან დაკავშირებით. ის იყო შემუშავებული ფორმით, რომელსაც არანაირი ვალდებულება არ გააჩნდა: “საერთო საგარეო პოლიტიკა და პოლიტიკური უსაფრთხოება, მოიცავს ყველა იმ საკითხს, რომელიც საბჭოს უსაფრთხოებას ეხება, მათ შორის თავდაცვის პოლიტიკის ფორმირებას, რომელიც შეუძლია დროთა განმავლობაში ერთობლივი თავდაცვის ფორმაც კი მიიღოს”. აღნიშნული ფორმულირება, ერთობლივი თავდაცვის პოლიტიკის მოწინააღმდეგებისთვის, გარკვეული სახის წარმატებას წარმოადგენდა.

ამსტერდამის ხელშეკრულება, არამხოლოდ თავისი წინამორბედის წარმატებების ათვისება შეძლო, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში, არამედ განვითარების მხვრივადაც საკმაოდ წინ წაიწია. მთავარი სიახლე კი უპირველეს ყოვლისა ევროკავშირის საერთო საგარეო და თავდაცვის სფეროებს ეხებოდა, მათ რადიკალურად შეცვალეს საბჭოს მიდგომები ამ პრობლემებთან მიმართებაში, რადგან პერსპექტივაში შესაძლებელი გახადეს, საერთო უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ფორმირება.

ამსტერდამის ხელშეკრულებაში ჩაიდო რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება.

1. „დაემატა კიდევ ერთი საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტი - საერთო სტრატეგია. ანუ, საბჭოს აქვს უფლება განსაზღვროს, კონსენსუსით, საერთო სტრატეგია იმ

სფეროებში, რომლებიც წვერი ქვეყნების საერთო ინტერესს წარმოადგენენ. საბჭო არის პასუხისმგებელი საერთო სტრატეგიის იმპლემენტაციაზე საერთო ქმედებების და ერთიანი პოზიციის საშუალებით (რომლებიც მტკიცდება კვალიფიციური უმრავლესობით). იგი ასევე რეკომენდაციას უწევს ევროპულ საბჭოს საერთო სტრატეგიის შესახებ.

2. გადაწყვეტილების მიღების მხრივ საერთო პრინციპი მაინც ერთხმად გადაწყვეტილების მიღება დარჩა, მაგრამ შემოიღეს ე.წ. „კონსტრუქციული თავისშეკავება,“ ანუ, წვერ ქვეყნებს შეუძლიათ თავი შეიკავონ, რათა საკითხი გადაურჩეს დაბლოკვას. თუკი ეს ქვეყნები თავშეკავებას დაადასტურებენ ფორმალური დეკლარაციით, მაშინ მათ არ ევალებათ მიღებული გადაწყვეტილების გატარება, მაგრამ ისინი ვალდებული არიან შეეგონ მიღებულ გადაწყვეტილებას სოლიდარობის მიზნით და არ ჩაიდინონ ისეთი ქმედებები, რაც კონფლიქტში იქნება ევროკავშირის ამ გადაწყვეტილების საფუძველზე განხორციელებულ ქმედებებთან. გადაწყვეტილება არ მიიღება თუკი ასეთნაირად თავი შეიკავა წვერი ქვეყნების 1/3.
3. ამსტერდამის მეორე დიდი მონაპოვარი არის სსუპ-ს უმაღლესი წარმომადგენლის პოსტის შემოღება. ეს პოსტი მიანიჭეს საბჭოს გენერალურ მდივანს, რომელიც 1999 წლიდან გახდა ხავიერ სოლანა. გენერალური მდივნის მოვალეობაში შედიოდა საბჭოს ადმინისტრაციული საქმიანობის მართვა და მიმართულების მიცემა, მაგრამ ახალი ფუნქციების დამატების შემდეგ ეს ფუნქციები გადაეცა გენერალურ მდივნის მოადგილეს. თავად სოლანას ამჯერად ევალება სსუპ-ს სფეროში საბჭოსთვის დახმარების გაწევა, კერძოდ კი სსუპ-ის მიმართულებების ფორმულირება, მომზადება და გადაწყვეტილებების იმპლემენტაცია. პრეზიდენტობის მოთხოვნით, სოლანა ასევე ატარებს პოლიტიკურ დიალოგს მესამე სახელმწიფოებთან და პირებთან. სსუპ-ს უმაღლეს წარმომადგენელს ლოგისტიკურ დახმარებას უწევს ამსტერდამის ხელშეკრულებით შექმნილი პოლიტიკის დაგეგმარების და ადრეული გაფრთხილების დანაყოფი.

4. პოლიტიკის დაგეგმარების და ადრეული გაფრთხილების დანაყოფი შეიქმნა იმ მიზნით, რომ შესაძლებელი გამხდარიყო კავშირის მიერ ერთიანი რეაგირების მოხდენა საერთაშორისო მოვლენებზე. საკითხების ერთობლივმა შესწავლამ და ინფორმაციის მოპოვებამ უნდა განაპირობოს კავშირის ეფექტური რეაქცია საერთაშორისო მოვლენებზე. ეს დანაყოფი დაკომპლექტებულია სპეციალისტებით წევრი ქვეყნებიდან, გენერალური სამდივნოდან, კომისიიდან და დასავლეთ ევროპის კავშირიდან.
5. პეტერსბერგის ამოცანები, უშიშროება და დასავლეთ ევროპის კავშირი: ამსტერდამის ხელშეკრულებით პეტერსბერგის ამოცანები შეყვანილ იქნა სსუპ-ს კომპეტენციაში. ეს იყო უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება, ვინაიდან ეს ნიშნავს იმას, რომ ამიერიდან ევრო კავშირმა თავის თავზე აიღო ისეთი კონფლიქტების მოგვარება, რომლებიც საჭიროებს სამშვიდობო ოპერაციებს, ჰუმანიტარულ დახმარებას და სამაშველო ოპერაციებს. ასევე, მე-17 მუხლში ნახსენები იყო რომ დეკ ნელ-ნელა უნდა შერწყმოდა კავშირს და რომ კავშირი დაეკითხებოდა დეკ-ს როგორც აღმასრულებელ ორგანოს უსაფრთხოების საკითხებში. მარტივად რომ ვთქვათ, დეკ გახდებოდა სსუპ-ს სამხედრო ორგანო.“⁶

როდესაც საერთო უსაფრთხოების და და თავდაცვის პოლიტიკა ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებოდა, ევროკავშირმა შეიმუშავა კიდევ ერთი შეთანხმება - ნიცის ხელშეკრულება (ორჯერ ხელმოწერილი - 2000 წლის 11 დეკემბერს და 2001 წლის 26 თებერვალს, რომელიც ძალაში შევიდა - 2003 წლის 1 თებერვალს). მას თავდაცვის პოლიტიკაში, არანაირი ფორმალური ცვლილებები არ შეუტანია. მის ყველაზე სერიოზულ სიახლეს წარმოადგენდა, საერთო უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის, ერთ-ერთი ორგანოს კომპეტენტურობის დამტკიცება - უსაფრთხოების პოლიტიკის კომიტეტის, დე-ფაქტოსი, რომელიც მანამდე ევროპულმა საბჭომ მიიღო (იმავე პერიოდში გამოყენებული იყო ევროკავშირის ყოველდღიურ პრაქტიკაში). თუმცა, გამეორებული იყო ევროპული თავდაცვის სფეროში, ამსტერდამის ხელშეკრულების ყველა ძირითადი დებულება, “სამართლიანად ჰქონდა აღნიშნული

⁶ ევროკავშირის პოლიტიკა, სერგი კაპანაძე

იმდროინდელი ევროკავშირის უსაფრთხოების პრობლემების, პარიზული კვლევითი ინსტიტუტის, დირექტორს ნიკოლ გრესსოტოს, - ნიცის ხელშეკრულებამ ეფექტურად შეიმუშავა უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის განხორციელების გეგმა”. ამ ყველაფერის დამსახურება კი - ნიცის ხელშეკრულებაა.

შესაბამისად, გადამწყვეტი საწყისი წვლილი ამსტერდამის შეთანხმებას მიუძღვის, რომელიც ჩადებული იყო საერთაშორისო-სამართლებრივ ბაზაში, კერძოდ კი ევროპის უსაფრთხოების და თავდაცვის სფეროში. სწორედ მან შეუქმნა პირობები, რათა ევროკავშირის, საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საფუძველებიდან გამომდინარე, თანდათან განეხილათ საერთო უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა.

სან-მალო : საერთო უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ჩამოყალიბება საერთო უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის შექმნის ისტორიის ათვლა იწყება, ფრანგულ-ბრიტანული სამიტიდან, რომელიც 1998 წლის 4-5 დეკემბერს სენ-მალოში ჩატარდა. თავის ერთობლივ დეკლარაციაში, რომელიც თამამად შეიძლება ჩაითვალოს საერთო უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის პირველ დოკუმენტად, სადაც ჟაკ შირაკი და ტონი ბლერი მოუწოდეს ევროკავშირის ლიდერებს საკუთარი სამხედრო ორგანიზაციის შექმნისაკენ. დეკლარაციაში პირდაპირაა მითითებული, რომ ევროპულმა საბჭომ უნდა (გათვალისწინებული იყო ამსტერდამის შეთანხმებით) “ მიიღოს გადაწყვეტილება, რათა ნელ-ნელა ჩამოყალიბდეს საერთო თავდაცვითი პოლიტიკა” და რომ “კავშირს, უნდა გააჩნდეს უნარი განახორციელოს ავტონომიური ქმედებები, რომლებიც მხარდაჭერილი იქნება საიმედო სამხედრო ძალით”.

დეკლარაციაში ნათლად იყო ასახული ნატოს უმნიშვნელოვანესი როლი ევროპის თავდაცვაში, ევროპას უნდა შეეტანა თავისი წვლილი ნატოს განვითარებაში და გარდაქმნაში, მაგრამ ამავდროულად ევროპას უნდა ჰქონოდა „მოქმედების თავისუფლება ისეთ დროს სადაც ალიანსი არ იქნებოდა მონაწილე“. ევროპას სჭირდებოდა ძლიერი არმია და გამართული თავდაცვის სისტემა რათა ეპასუხათ ახალი საფრთხეების გამოწვევებზე. აქვე დააფიქსირეს საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა მზადყოფნა რომ დაეხმარებოდნენ ყველანაირი ძალისხმევით ევროკავშირს ამ მიზნების განხორციელებაში.

სენ-მალოს შემდეგ მოვლენები ძალიან სწრაფად განვითარდა საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში. ამ სფეროში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სამი ევროპული საბჭო.

სენ-მალოს მოწოდების შემდეგ ზუსტად ერთი კვირის თავზე, ის მხარდაჭერილი იყო ვენაში, ევროპული საბჭოს სხდომაზე, საბჭოს წევრების მიერ. წევრ-სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს შემდეგი შეხვედრისთვის, მოემზადებინათ სპეციალური პროგრამა, სამომავლო უსაფრთხოების და თავდაცვის სისტემაში. აღნიშნული შეხვედრა იგეგმებოდა, დაახლოებით ნახევარი წლის შემდეგ, კელნში, რომლის თავჯდომარე გერმანია იქნებოდა. პირველად ბონმა 1999 წლის 24 თებერვალს, წინ წამოწია გერმანიის შეთავაზებები. ევროსაბჭოს სხვა წევრ-სახელმწიფოებთან დეტალური განხილვის შემდეგ ამ საკითხის ჩამოყალიბება მოხდა (8 მარტს) და განხილული იყო 1999 წლის, 13-14 მარტს, ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების არაფორმალურ შეხვედრაზე, რეინჰარტჰაუზენში - რეინსის დასახლება ელტვილიეში, ვისბადენის და მაინცის მახლობლად. კელნის სამიტის დაწყებამდე, 29 მაისს, ტულუზში თავდაცვის და უსაფრთხოების საკითხთან დაკავშირებით გაიმართა ფრანკო-გერმანული საბჭოს სხდომა, მონაწილეებმა დააფიქსირეს მყარი გადაწყვეტილება, ავტონომიური ევროპული თავდაცვის სესტემის მშენებლობასა და განვითარებაზე. ევროპის საბჭოს ტრადიციის თანახმად, რომელიც წინსვლის შენელებულ, თუმცა გააზრებულ ნაბიჯებს ეხებოდა, კელნის სამიტამდე ნახევარი წლის განმავლობაში განხორციელებული იყო და არანაკლებ ნაყოფიერი, გააზრებული და ფართო მასშტაბის სამუშაოები.

„1999 წლის ივნისის კიოლნის ევროპული საბჭოს დეკლარაციამ გაითავისა სენ მალოს დეკლარაცია და თითქმის მთლიანად მიიღო იქ მიღწეული შეთანხმებები. ამჯერად ფორმალურად დადასტურდა ევროკავშირის წევრი ყველა ქვეყნის სურვილი, რომ განევითარებინათ საერთო თავდაცვა. კიოლნის დეკლარაციაში ჩაიღო ის სამომავლო გეგმები, რაც საჭირო იყო ამ იდეის განსახორციელებლად, კერძოდ კი გადაწყვეტილების მიღების ინფრატრუქტურის შექმნა (სამხედრო პოლიტიკური კომიტეტები და ა.შ.) ისევე როგორც სამხედრო საშუალებები, ანუ სამხედრო შტაბბინის

და სამხედრო ძალების შექმნა. შესაბამისად, მომავალ პრეზიდენტობას დაევალა სამუშაოების გაგრძელება ამ მიმართულებით.⁷

მეორე მთავარი გადაწყვეტილება მიღებული იყო ჰელსინკის ევროპული საბჭოს სხდომაზე (1999 წლის 10-11 დეკემბერს). მას წინ უძღვოდა მოსამზადებელი სამუშაოები - მრავალრიცხოვანი კონსულტაციები, სხდომები, შეხვედრები. მათ შორის განსაკუთრებული როლი შეასრულა ორმა ორმხვრივმა სამიტმა: ფრანგო-ბრიტანულმა, ლონდონში (1999 წლის 25 ნოემბერს) და ფრანკო-გერმანულმა, საფრანგეთში (1999 წლის 30 ნოემბერს). აღნიშნული სამიტები, მიზნად ისახვდნენ ჰელსინკის სამიტის პრობლემების გადაჭრის გზების და მიდგომების შემუშავებას. მან თავისი შესაძლებლობები ევროპული ძალების სწრაფი რეაგირების ფორმულირების და მეთოდების შემუშავებაზე გაამახვილა. აღნიშნული გადაწყვეტილება შეიძლება ჩაითვალოს - "გონებრივ მიზნად".

„ეს შეხვედრა მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ მასზე დასახული იქნა ე.წ. „მთავარი ამოცანა“, რომლის მიხედვით ქვეყნებს უნდა შეძლებოდათ 2003 წლისათვის თავი მოეყარათ (ნებაყოფლობით) 50,000 — 60,000 კაციანი სწრაფი რეაგირების ჯარისთვის, რომლის განლაგება შესაძლებელი იქნებოდა 60 დღეში, და შენახვა ერთი წლის მანძილზე. ამ ჯარის მოვალეობებში შევიდოდა პეტერსბერგის ამოცანების შესრულება.“⁸ სხვა გადაწყვეტილებების უმრავლესობას, რომელიც მიღებული იყო ჰელსინკში, ეხებოდა კელნში დამტკიცებული ძირითადი მდგომარეობის განვითარებას და კონკრეტიზაციას. ზოგიერთ შემთხვევაში მუშავდებოდა რაიმე სიახლე. მაგალითად, საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში კავშირის არაწევრი სახელმწიფოების მოზიდვა, ჰელსინკში, განსაკუთრებულად აღინიშნებოდა, რომ რუსეთი და უკრაინა - "შესაძლოა მოწვეულნი იყვნენ, მონაწილეობის მისაღებად ევროკავშირის სამმართველო ოპერაციებში". მსხვილი ინოვაციები კი არასამხედრო, კერძოდ სამოქალაქო სამშვიდობო სფეროებში ფიქსირდებოდა.

ასევე მნიშვნელოვანია სანტა მარია დე ფეირას ევროპული საბჭო, რომელიც 2000 წლის ივნისში შედგა. ამ შეხვედრაზე ქვეყნები შეთანხმდნენ ესდპ-ს სამოქალაქო კომპონენტის გაუმჯობესებაზე. წევრი ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ ერთობის

⁷ ევროკავშირის პოლიტიკა, სერგი კაპანაძე

⁸ ევროკავშირის პოლიტიკა, სერგი კაპანაძე

განკარგულებაში იქნებოდა 5000-მდე პოლიციელი, რომლებიც კრიზისული სიტუაციების დასაძლევად იქნებოდნენ გამოყენებულნი. ანუ შეიძლება ითქვას, რომ სენტ მალომ და შემდგომმა ევროპულმა საბჭოებმა ფუნდამენტი ჩაუყარეს საერთო თავდაცვას.

თავდაცვის პოლიტიკის წარმოების პროცესში ჩართული ორგანოები სამხედრო კომიტეტი: “სამხედრო კომიტეტი შედგება თავდაცვის მინისტრებისგან, რომლებიც წარმოდგენილი არიან თავიანთი წარმომადგენლებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პირადად მინისტრების დასწრება არის აუცილებელი. ამ კომიტეტის კომპეტენციაა რჩევების მიცემა პოლიტიკური და სამხედრო კომიტეტისთვის და საგარეო საქმეთა მინისტრებისა და ევროპული საბჭოსთვის სამხედრო საკითხების შესახებ. სამხედრო კომიტეტი ასევე წარმოადგენს ფორუმს სამხედრო კონსულტაციებისთვის კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად და კრიზისების მოსაგვარებლად.

სამხედრო შტაბი: სამხედრო შტაბი შედგება წევრი სახელმწიფოებისგან წარგზავნილი სამხედრო მოხელეებისაგან. მოხელეების შტაბი ეკუთვნის საბჭოს სამდივნოს, მაგრამ უსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე მათი შენობა არ მდებარეობს სამდივნოს შენობაში. შტაბი მუშაობს სამხედრო კომიტეტის მეთვალყურეობის ქვეშ და ემსახურება ეუთპ-ს სამხედრო ექსპერტიზით, მათ შორის ისეთ საკითხებზეც, როგორცაა ადრეული გაფრთხილება, სიტუაციის შეფასება და სტრატეგიული დაგეგმვა.”⁹

ევროკავშირი კრიზისების მართვის საკითხში მხოლოდ მეზობელი ქვეყნებით არ შემოიფარგლება. იმის თვალსაჩინოებისთვის თუ რამდენად ქმედითია ევროკავშირი. როგორც კონფლიქტების მომწესრიგებელი ძალა, მოვიყვანოთ მათ მიერ ჩატარებული მისიებიდან რამდენიმე.

სამხედრო საზღვაო ოპერაცია სომალიში

„EUNAVF OR ATLANTA მიზნად ისახავდა მეკობრეების პრევენციას, რათა მომხდარიყო მსოფლიო სასურსათო პროგრამის ხომალდის დაცვა, რომლის მეშვეობითაც პროდუქტი შედიოდა სომალიში. ეს ოპერაცია დაიწყო 2008 წლის 13

⁹ ევროკავშირის პოლიტიკა, სერგი კაპანაძე

დეკემბერს და სრულიად შევიდა მოქმედებაში 2009 წლის თებერვალში. სომალის ოპერაცია გახლდათ ევროკავშირის პირველი სამხედრო საზღვაო ოპერაცია ევროპის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში. ევროკავშირი მონაწილეობს მეკობრეების წინააღმდეგ საერთაშორისო ჯგუფების მუშაობაში და ხელს უწყობს მათ. სამართლებრივი წესრიგის აღსადგენად საჭირო იყო მეკობრეობის სიღრმისეული მიზეზების შესწავლა და სომალის უშიშროების ინსტიტუტების დაცვა. ევროკავშირის მიუძღვის უმნიშვნელოვანესი როლი სომალის უშიშროების და სამოქალაქო საპოლიციო ძალების ჩამოყალიბებაში. მათი ქმედებები ძალზედ ეფექტური აღმოჩნდა. ხელმძღვანელმა ადმირალმა ჯონსმა 1 წლის შემდეგ საქმიანობის შეჯამებისას გააკეთა განცხადება, რომ ევროკავშირის სამხედრო ძალებმა შეძლეს საჭირო რაოდენობის სავაჭრო გემის უსაფრთხო გადაადგილება და ჰუმანიტარული ტვირთის გადატანა. ეს ოპერაცია არის ნაწილი იმ მასშტაბური საქმიანობისა, რასაც ევროკავშირი ახორციელებს აფრიკაში და ამ ყველაფრის მიზანია სომალის კრიზისის დაძლევა. რომელიც მოიცავს პოლიტიკურ, უშიშროების და ჰუმანიტარულ ასპექტებს.¹⁰

EUPM - საპოლიციო მისია ბოსნია-ჰერცეგოვინაში

„ბოსნიაში არეულობები და სამხედრო შეტაკებები დაიწყო ყოფილი იუგოსლავიის დაშლის შემდგომ. 1995 წელს დეიტონის ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდგომ ბოსნიაში შევიდნენ გაეროს საერთაშორისო საპოლიციო ძალები, რომლის მთავარი ამოცანაც რა თქმა უნდა სიმშვიდის შენარჩუნება იყო. ზუსტად ეს მისია შეცვალა ევროკავშირმა 2003 წლის 1 იანვარს. მასში ჩართული იყო 495 პოლიციის ოფიცერი და დამატებითი ძალა, რომელიც 59 თანამშრომელს შეადგენდა. ეს ძალები რეგიონში ეწეოდნენ მონიტორინგს და მათი მთავარი მიზანი იყო სტაბილურობის

¹⁰ European Union Naval Force Somalia Operation Atalanta,

http://www.europarl.europa.eu/meetdocs/2014_2019/documents/sede/dv/sede240914factsheeteunavfor_/sede240914factsheeteunavfor_en.pdf, ბოლოს ნანახია 05.02.2018

შენარჩუნება. 495 პოლიციის ოფიცერიდან 80% იყო ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ წარგზავნილი, ხოლო 20 % სხვა ქვეყნების მიერ.“¹¹

EULEX მისია კოსოვოში

“ევროკავშირის მისია კოსოვოში მშვიდობის და სტაბილურობის დამყარებას უწყობს ხელს. ეს მისია გახლავთ ყველაზე მრავალრიცხოვანი მისია. ასევე ხელს უწყობს კანონის უზენაესობის , საპოლიციო, საბაჟო და სასამართლო სისტემების პროგრესს. 2009 წლიდან ევროკავშირის მისი კოსოვოში ბოლომდე მოქმედი გახდა და მას მანდატი 2016 წლამდე ჰქონდა. ბევრი მოსაზრებით EULEX-მა არ გაამართლა და აფასებდნენ როგორც ევროკავშირის მარცხს ამ რეგიონში. თუმცა სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა და მიუხედავად უარყოფითი დამოკიდებულებებისა ევროკავშირმა დაამტკიცა, რომ იმ საქმეს რომელსაც ხელს მოკიდებს ბოლომდე მიყავს. 2013 წლის ივნისში ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენლის ქეტრინ ემტონის 10 რაუნდიანი მედიაციის შედეგად, სერბეთის პრემიერ-მინისტრმა ივიცა დაჩიჩმა და კოსოვოელმა კოლეგამ ჰაშიმ ტაჩიმ 15- პუნქტიან პაქტს მოაწერეს ხელი. ეს შეთანხმება ემსახურებოდა კოსოვოს ჩრდილოეთ ნაწილში მაცხოვრებელი ეთნიკურად სერბი უმცირესობების მდგომარეობის გაუმჯობესებას, ეს ყველაფერი უზარმაზარ პოლიტიკურ მნიშვნელობას ატარებდა. მალევე საერთაშორისო დონეზე ეს შეთანხმება აღიარეს ევროკავშირის მნიშვნელოვან საგარეო პოლიტიკურ წარმატებად.”¹²

¹¹ Dov LYNCH and Antonio MISSIROL, ESDP operations, Institute for security studies, 2009. <http://www.peacepalacelibrary.nl/ebooks/files/09-dvl-am.pdf> , ბოლოს ნანახია 05.02.2018

¹² .European Union external action, „what is EULEX?“, St. Muharrem Fejza, P.O. Box: 268, 10000 Pristina, Kosovo <http://www.eulex-kosovo.eu/en/info/whatisEulex.php> ბოლოს ნანახია 05.02.2018

2 თავი : ევროკავშირის ახალი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის რეალური კონტურების რეგიონული მიდგომები - საქართველოსა და ბოსნია-ჰერცეგოვინას მაგალითებზე

2.1 ევროკავშირის მექანიზმები და ინსტრუმენტები კრიზისების მართვის საქმეში ევროპული უსაფრთხოების მიღმა

ევროკავშირმა კრიზისების მართვის საქმიანობა დაიწყო 2003 წელს დაიწყო. დღემდე ევროკავშირმა სტაბილიზაციისა და მშვიდობისთვის არაერთი მშვიდობიანი ოპერაცია ჩაატარა როგორც ევროპაში ასევე მის ფარგლებს გარეთაც. ევროკავშირის მიერ განხორციელებულ კრიზისების მართვაში მონაწილეობა შეუძლიათ არამარტო იმ ქვეყნებს რომლებიც ევროკავშირის წევრნი არიან, არამედ იმ ქვეყნებსაც რომლებიც არ შედიან ევროკავშირის შემადგენლობაში. ამ შემთხვევაში ფორმდება ხელშეკრულება, სადაც განსაზღვრულია კრიზისული სიტუაციების მართვის ოპერაციებში მონაწილე მხარეების ფუნქციები და ვალდებულებები.

ევროკავშირი ერთიანი უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს სამშვიდობო ოპერაციებს, მონაწილეობს საერთაშორისო უსაფრთხოების გაძლიერების პროცესში. ეს ყველაფერი მოიცავს როგორც სამხედროს მართვის კრიზისების ოპერაციებს ასევე სამოქალაქო კრიზისების მართვის მისიებს, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით ახორციელებენ მოქმედებებს. ესენია :

- . კანონის უზენაესობის მისიები , რაც მოიცავს მასპინძელ ქვეყნებში კანონის უზენაესობის განმტკიცებას, სამართლის და ზოგადად ადამიანთა უფლებების დაცვა და მათი ხელშეწყობა
- . საპოლიციო მისიები , ამის ერთ-ერთი მთავარი მიზანია დაეხმაროს მასპინძელი ქვეყნის საპოლიციო ძალებს განვითარებაში
- . სადამკვირვებლო მისიები, რა დროსაც ხორციელდება საზღვრის მონიტორინგი, ცეცხლის შეწყვეტის პროცესების ზედამხედველობა და ა.შ

ევროკავშირი უამრავი გამოწვევის წინაშე დგას, როგორც საგარეო ასევე საშინაო ხასიათისაა ეს გამოწვევები. ევროკავშირის პროგრესის და სტაბილურობის გაგრძელება მშვიდობიანი ევროპის აპრიორი უნდა გახდეს.

საერთო სამხედრო დავალებების შესასრულებლად საჭირო იყო საერთო ევროპული სამხედრო სტრუქტურების არსებობა, რაზეც ევროკავშირმა მალევე იზრუნა. სენტ მალოს და ჰელსინკის დოკუმენტები იყო იმის ნათელი გამოვლინება, რომ ევროპის ლიდერებს მტკიცე სურვილი გააჩნდათ საერთო თავდაცვითი და საგარეო პოლიტიკის ფარგლებში ზურგი გაემაგრებინათ ქმედითი სამხედრო კონტიგენტით.

საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის და ევროპის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის სტრუქტურა : გადაწყვეტილების მიღების ინსტიტუტები და პროცედურა

ევროპული საბჭო

ევროპული საბჭო გახლავთ ევროკავშირის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი. ევროპულ საბჭოში შედიან ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთავრობის ან სახელმწიფოს მეთაურები და ევროკომისიის პრეზიდენტი.

“მაასტრიხტის ხელშეკრულების მე-13 მუხლის მიხედვით საბჭო განსაზღვრავს სსუპ-ის პრინციპებს და მთავარ მიმართულებებს და აყალიბებს საერთო სტრატეგიებს. ევროპული საბჭო მუშაობს გენერალურ საქმეთა საბჭოსთან (GAC) ერთად და მისი მეშვეობით არის სსუპ-თვის მიმართულების მიმცემი.”¹³

ევროპულ საბჭოზე გადაწყვეტილებები მიიღება ერთსულოვნად , მაგრამ ყოფილა შემთხვევები როდესაც სახელმწიფოს მეთაურების სურვილით უმრავლესობით მომხდარა საკითხის გადაწყვეტა. ევროპული საბჭო მიეკუთვნება ევროკავშირის არაფორმალურ ინსტიტუტს, მაგრამ მას საკმაოდ დიდი ლეგიტიმურობა გააჩნია. განვითარების ეტაპებზე ევროპულ საბჭოს სხვადასხვა როლები და ფუნქციები ჰქონდა, მაგრამ დროთა განმავლობაში საბოლოოდ ჩამოყალიბდა მისი მიმართულება. ევროპულ საბჭოს მნიშვნელოვანი ფუნქციები გააჩნია. ერთ-ერთი ფუნქცია გახლავთ მეთაურების შეხვედრა არაფორმალურ გარემოში, სადაც ნაკლებია წნეხი და შესაბამისად მიიღება მნიშვნელოვანი ეფექტური გადაწყვეტილებები ევროგაერთიანების განვითარებისთვის.

¹³ ევროკავშირის პოლიტიკა, სერგი კაპანაძე

ასევე მნიშვნელოვანია ფორმალური ნაწილი, სადაც ევროპული საბჭო ვალდებულია გრძელვადიან პერსპექტივაში დასახოს განვითარების გეგმა და მისცეს დირექტივები ევროკომისიას. ასევე უნდა ითქვას რომ ევროპულ საბჭოს ეკისრება საგარეო პოლიტიკის შემუშავების მნიშვნელოვანი ფუნქცია, რადგან საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა ჯერ ისევ სახელმწიფოების უშუალო პრეროგატივაში რჩება.

მინისტრთა საბჭო

“საბჭო არის სსუპ წარმოების საკვანძო ორგანო. იგი ფუნქციონირებს შემდეგი ორგანოების საშუალებით:

გენერალური და საგარეო ურთიერთობების საბჭო: საგარეო საქმეთა მინისტრები და კომისარი ხვდებიან ერთმანეთს დაახლოებით თვეში ერთხელ, მაგრამ ასევე იმართება დამატებითი შეხვედრებიც. გსუს არის სსუპ-ს მთავარი გადაწყვეტილების მიმღები ორგანო: განსაზღვრავს საერთო პოზიციებს და საერთო ქმედებებს. უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია პრეზიდენტობას, რომელიც წარადგენს კავშირს სსუპ-ის სფეროში და მონიტორინგს უწევს ამ სფეროში მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას. ადრე პრეზიდენტ ქვეყანას ეხმარებოდა ტროიკა, მაგრამ ეს როლი ახლა გაითავისა სსუპ-ის უმაღლესმა წარმომადგენელმა და საგარეო ურთიერთობების კომისარმა.

მუდმივ წარმომადგენელთა კომიტეტი (COREPER) წარმოადგენს ერთგვარ ფილტრს პოლიტიკურ და უსაფრთხოების კომიტეტს (რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა მას არ შეუძლია, თუმცა შეუძლია მხოლოდ განხილვა) და გენერალურ საბჭოს შორის. აქ ხდება საკითხების და პოზიციების შეჯერება, ვიდრე საკითხი მიაღწევს საბჭომდე. კორეპერი განიხილავს საკითხების ბიუროკრატიულ, ინსტიტუციურ, ფინანსურ და სხვა ასპექტებს, თუმცა არ ეხება საკითხების შინაარსს. საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავს კორეპერ II.

პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტი შედგება მაღალი რანგის ელჩებისა და ეროვნული ადმინისტრაციების წარმომადგენლებისაგან, ასევე საგარეო ურთიერთობების გენერალური დირექტორატის მაღალი რანგის წარმომადგენლებისგან. მის მოვალეობაში შედის თვალი ადევნოს საერთაშორისო სიტუაციას სსუპ-ის საკითხებში, განსაზღვროს სსუპ-ს პოლიტიკა, გაუწიოს

პოლიტიკური მიმართულება სამხედრო შესაძლებლობების განვითარებას და კრიზისული სიტუაციების გამკლავებას. შეხვედრების სიხშირე არის კვირაში ერთხელ ან საჭიროებისამებრ. პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტი განიხილავს ყველა საკითხს, სანამ ეს საკითხები გავა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოზე.

კორესპონდენტების ჯგუფი კოორდინაციას უწევს სსუპ-ს წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა სამინისტროებთან. ეს ჯგუფი ასევე ახდენს ყოველდღიურ კომუნიკაციას საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის, რაც სხვა საქმეებთან ერთად, ასევე გულისხმობს ათასობით ტელგრამის გაგზავნას ტელექსის საშუალებით. ეს ჯგუფი ეწევა ყველაზე რუტინულ, მაგრამ მნიშვნელოვან საქმიანობას. მათ აქვთ სპეციალური ტელექსის სისტემა, რომელიც აადვილებს ურთიერთობას წევრ სახელმწიფოებს შორის.

სამუშაო ჯგუფები: საბჭოს სტრუქტურაში არსებობს დაახლოებით 30 სამუშაო ჯგუფი, ზოგი - მუდმივი, ზოგი კი - დროებითი. დაკომპლექტებულია დიპლომატებით და კომისიის წარმომადგენლით. ყველა ჯგუფი მუშაობს ცალკეულ საკითხზე: რეგიონზე, ან სხვადასხვა თემაზე.

გენერალური სამდივნო: ეპთ-ს სსუპ-დ გარდაქმნამ გამოიწვია ის რომ ეპთ-ს ყოფილი გენერალური სამდივნო მიერთებულ იქნა საბჭოს სამდივნოსათვის. ამჯერად ამ ხალხის კომპეტენციაში შედის ადმინისტრაციული დახმარება გაუწიონ საბჭოს საქმიანობას სსუპ სფეროში. ეს კომპონენტი გამყარდა მას შემდეგ რაც შეიქმნა უმაღლესი წარმომადგენლის პოზიცია. როგორც ცნობილია მას ევალება სსუპ-ს პოლიტიკის განსაზღვრის, ფორმულირების მომზადების და იმპლემენტაციის პროცესში მონაწილეობის მიღება და მესამე პირებთან დიალოგის წარმართვა.”¹⁴

ევროკომისია

ევროკომისიას მოიაზრებენ, როგორც ევროკავშირის საჯარო სამსახურს, მაგრამ მისი როლი ევროკავშირის განვითარებაში არის უზარმაზარი და ცდება საჯარო სამსახურის ფარგლებს. ევროკომისია უზარმაზარ როლს თამაშობს ევროკავშირის განვითარებაში. ევროკომისიას ხშირად უწოდებენ აღმასრულებელ ხელისუფლებას და ევროკავშირის სინდისს.

¹⁴ ევროკავშირის პოლიტიკა, სერგი კაპანაძე

“ხელშეკრულების თანახმად კომისია სრულად ასოცირდება სსუპ-სთან, მაგრამ სსუპ-ს წარმოების მთავრობათაშორისი ბუნება და კომისიის სუპრაეროვნულმა ბუნებამ განაპირობა ის, რომ კომისიის როლი სსუპ-ში ჯერ კიდევ სუსტია. რომანო პროდის პრეზიდენტობის პერიოდში გაიყო საგარეო ურთიერთობების პორტფელი საგარეო ურთიერთობების და გაფართოების პორტფელად, რომელთა დაქვემდებარებაში აღმოჩნდა, შესაბამისად, საგარეო ურთიერთობების გენერალური დირექტორატი და გაფართოების გენერალური დირექტორატი. ფუნქციების ამგვარმა დანაწილებამ, შეიძლება ითქვას, გაზარდა ევროკომისიის როლი სსუპ-ში (ამის მიზეზი ასევე შეიძლება იყოს კრის პატენის და გუნტერ ვერჰოგენის პიროვნული თვისებები). მიუხედავად ამისა, კომისიის როლი განისაზღვრება იმით, თუ საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის რომელ ასპექტთან გვაქვს საქმე. თუ სსუპ-ის ფარგლებში გამოიყენება ევროგაერთიანების ინსტრუმენტები (მაგალითად, ეკონომიკური სანქციები), მაშინ კომისიის როლი საკმაოდ დიდია, ხოლო თუ საქმე ეხება სამთავრობათაშორისო ინსტრუმენტებს, მაშინ კომისიის როლი შეზღუდულია.”¹⁵

კომისიას უფლება აქვს წამოაყენოს ევროკავშირის განვითარების და გაუმჯობესების ინიციატივები, დაგეგმოს ახალი მიმართულებები. კომისია ასევე ექსკლუზიურად ფლობს პოლიტიკის დაგეგმვის და კანონპროექტების შემუშავების უფლებებს პირველი საყრდენის ქვეშ. კომისიას ასევე შეუძლია მეორე და მესამე საყრდენის ქვეშ შემოიტანოს კანონპროექტები, მაგრამ ეს პროცესი ძალზედ შეზღუდულია და მისი გამოყენება უმრავლეს შემთხვევაში ხდება სახელმწიფოებთან შეთანხმებით. ევროკომისიას გააჩნია საკმაოდ მძლავრი ადმინისტრაციული ბერკეტები, რასაც უნდა ითქვას რომ საკმაოდ პროდუქტიულად იყენებს. ევროკომისიას ასევე შეუძლია ჩაერიოს ევროპული კანონმდებლობის აღსრულების საქმეში. კომისიის კიდევ ერთი ფუნქციაა საგარეო პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის წარმომადგენლის და მედიატორის როლი. ევროკავშირს უამრავ ქვეყანაში ყავს თავის დელეგაციები (მათ შორის საქართველოში), რომლის მეშვეობითაც იღებს ობიექტურ ინფორმაციებს ამა თუ იმ ქვეყნის შესახებ. კომისიას ასევე აქვს უფლება, რომ მოლაპარაკებები გამართოს საგარეო ვაჭრობის და ფინანსური პოლიტიკის სფეროებში. ევროკომისიას ასევე

¹⁵ ევროკავშირის პოლიტიკა, სერგი კაპანაძე

უდიდესი როლი ენიჭება ევროკავშირის გაფართოების დროს, იგი იკვლევს იმ ქვეყნების მზადყოფნას ევროკავშირში მისაღებად და ამ თემატიკაზე გამოდიან მოხსენებით.

სამეული

სამეული არის ინსტიტუტი, რომელიც შემოიღეს 1980- იან წლებში. ამ ინსტიტუტის მიზანი იყო უზრუნველყო საგარეო პოლიტიკის მდგრადობა, ყოველ ექვს თვეში ცვლადი პრეზიდენტობის პირობებში. დღეისათვის სამეულს წარმოადგენენ პრეზიდენტი ქვეყანა, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი და ევროკომისარი. ასევე შესაძლებელია სამეულში მონაწილეობა მიიღოს წინა ან მომავალმა პრეზიდენტმა ქვეყანამ. სამეული ხშირად მართავს მოლაპარაკებებს ევროკავშირის სახელით სხვადასხვა სახელმწიფოებთან. მინისტრთა საბჭოს მანდატის გაცემის შემდგომ, ევროკომისიის წარმომადგენლები ან სამეული მართავს ხოლმე მოლაპარაკებებს მესამე მხარესთან.

თავდაცვის პოლიტიკის წარმოების პროცესში ჩართული ორგანოები

სამხედრო კომიტეტი

“სამხედრო კომიტეტი შედგება თავდაცვის მინისტრებისგან, რომლებიც წარმოდგენილი არიან თავიანთი წარმომადგენლებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პირადად მინისტრების დასწრება არის აუცილებელი. ამ კომიტეტის კომპეტენციაა რჩევების მიცემა პოლიტიკური და სამხედრო კომიტეტისთვის და საგარეო საქმეთა მინისტრებისა და ევროპული საბჭოსთვის სამხედრო საკითხების შესახებ. სამხედრო კომიტეტი ასევე წარმოადგენს ფორუმს სამხედრო კონსულტაციებისთვის კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად და კრიზისების მოსაგვარებლად.

სამხედრო სამსახური/შტაბი

სამხედრო შტაბი შედგება წევრი სახელმწიფოებისგან წარგზავნილი სამხედრო მოხელეებისაგან. მოხელეების შტაბი ეკუთვნის საბჭოს სამდივნოს, მაგრამ უსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე მათი შენობა არ მდებარეობს სამდივნოს შენობაში. შტაბი მუშაობს სამხედრო კომიტეტის მეთვალყურეობის ქვეშ და ემსახურება ეუთპ-ს სამხედრო ექსპერტიზით, მათ შორის ისეთ საკითხებზეც, როგორცაა

ადრეული გაფრთხილება, სიტუაციის შეფასება და სტრატეგიული დაგეგმვა.¹⁶ სამხედრო შტაბი შედგება სამოცდაათამდე ოფიცრისგან.

ამ ორგანოების ფუნქციები დეტალებში აისახა 2000 წლის 28 თებერვალს თავდაცვის მინისტრების შეხვედრაზე წარდგენილ “დოკუმენტში”.¹⁷ დოკუმენტის საფუძველზე ევროკავშირის კრიზისული სიტუაციის ანალიზი უნდა განხორციელდეს ასეთი სქემით : პირველ ეტაპზე ევროკავშირი ორიენტირებულია კრიზისის პრევენციის ეკონომიკურ, დიპლომატიურ და ჰუმანიტარულ ზომებზე. კრიზისის გაჩენის შემთხვევაში სამხედრო შტაბი აწვდის პოკო-ს სიტუაციის თავდაპირველ სამხედრო ანალიზს, რომელიც დამუშავებულია ყველა ხელთარსებული ინფორმაციაზე დაყრდნობით, მათ შორის ნატოსიც. ამის შემდეგ პოკო შესაბამისი ორგანოების დახმარებით ქმნის კრიზისის გადაჭრის დოკუმენტს. როდესაც ეს მიდგომა მისაღები იქნება ყველა წევრი სახელმწიფოსთვის და შეთანხმებული იქნება, პოკო ავალებს სამხედრო შტაბს გააკეთოს შესაბამისი სამხედრო სტრატეგია. ამ დროს ევროკავშირს შეუძლია გამოიყენოს არამარტო დამოუკიდებელი სამხედრო კამპანია არამედ გამოიყენოს ნატოს შესაძლებლობებიც. დაგეგმვის პროცესისას მუდმივად ჩართულია სამხედრო კომიტეტი და სამხედრო შტაბი. “ნატოსთან ერთად თუ ხორციელდება ოპერაცია ამ შემთხვევაში ჩართულია ნატოს შესაბამისი ორგანოები, მაგრამ თუ ტარდება რომელი წევრი სახელმწიფოს ეგიდით, მაშინ ამ ქვეყნის ეროვნული სამხედრო შტაბი.”¹⁸

ევროკავშირის ოპერაციისას, კონსულტაციები იმართება იმ ჩარჩო ქვეყანასთან, რომელიც მზადყოფნაშია თავისი სამხედრო შტაბბინა გამოიყენოს ოპერაციის დაგეგმვისთვის. ასევე უნდა ითქვას , რომ სამოქალაქო ოპერაციისას უფრო მეტად არიან ჩართული ევროკავშირის სხვადასხვა ორგანოები და ასევე უფრო გაზრდილია კომისიის როლი. “როცა მიზნები შეჯერდება, გენერალური საქმეების საბჭო ამზადებს საერთო

¹⁶ ევროკავშირის პოლიტიკა, სერგი კაპანაძე

¹⁷ “Military Bodies of the European Union and the Planning and Conduct of EU-led Military Operations” in Maartje Rutten, *From St. Malo to Nice, European Defence: Core Documents*, Chaillot Paper No. 47, WEU Institute for Security Studies, Paris, May 2001: pp. 107-120.

¹⁸ Willem van Eekelen, “From Words to Deeds: the Continuing Debate on European Security,” *Centre for European Policy Studies and Geneva Centre for the Democratic Control of Armed Forces*, 2006: pp. 47-49.

ქმედებას.”¹⁹ ამ დროს კენჭისყრა მიდის კონსესუსის წესით, მაგრამ წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ თავი შეიკავონ.

ძირითადი პოლიტიკური გადაწყვეტილებები ეუთპ-ს სფეროში მიიღება უმაღლეს დონეზე, გენერალური საქმეების ან ევროპული საბჭოს სხდომაზე. ეუთპ - ს მთავარი კოზირი ერთსულოვნებაა. გადაწყვეტილების მიღების დროს თუ არ არსებობს საერთო ნება, ესეგი არ არსებობს საერთო თავდაცვის პოლიტიკაც. ერთადერთი რაც შეიძლება მოხდეს ამ დროს, არის ის რომ არ მიიღო მონაწილეობა კენჭისყრაში და არ შეიტანო წვლილი ოპერაციის განხორციელებაში. გადაწყვეტილებებს იღებენ საგარეო საქმეთა მინისტრები, ხოლო კომისია თამაშობს ძალიან მცირე როლს.

სტრუქტურულად, ეუთპ საკმაოდ მოქნილი ორგანო აღმოჩნდა. უსაფრთხოების პრობლების ცვალებადობას ეუთპ ყოველთვის ფეხს უწყობდა და ამ ყველაფერთან ერთად იხვეწებოდა. 2000 წლიდან დღემდე იხვეწება ეუთპ უსაფრთხოების საკითხებში. ამის ნათელი მაგალითია დამატებითი ჯგუფის შექმნა, რომლის ფუნქცია არის უზრუნველყოს ოპერაციის დაგეგმვისას და ჩატარებისას კონსილიდირებული რჩევის ჩამოყალიბება, რათა სამხედრო და სამოქალაქო ტიპის ქმედებები იყოს ერთიანი და თავსებადი. ასევე ერთმანეთს შეერწყა სამხედრო და სამოქალაქო დაზვერვა. აღსანიშნავია , რომ ეუთპ-ს ეგიდით განხორციელებულ სამოქალაქო ოპერაციებს ეყოლება სამოქალაქო სარდალი. მიმდინარეობს მუშაობა იმაზე, რომ სამხედრო და სამოქალაქო სამსახურებს შორის უფრო მჭიდრო ურთიერთობა დამყარდეს. „სამხედრო და სამოქალაქო ფუნქციების ურთიერთშეხამება სამხედრო ოპერაციის განხორციელების მთელი ციკლის განმავლობაში (კრიზისების მენეჯმენტი, სტაბილიზაცია და რეკონსტრუქცია) სწორედ ერთ-ერთი გამოწვევაა და გლობალური თავდაცვის და უსაფრთხოების სფეროში ევროკავშირის განსაკუთრებულ ნიშას წარმოადგენს.”²⁰

უსაფრთხოების ასპექტი

კონსულტაციებმა აჩვენა, რომ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში უსაფრთხოებისთვის უფრო დიდი მნიშვნელობის მინიჭების სურვილს ძალიან ბევრი

¹⁹ Ibid; Missiroli, p. 66.

²⁰ ევროკავშირის პოლიტიკა : მიმდინარე საკითხები , საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი

პარტნიორი გამოთქვამდა. ამის მიზეზია პარტნიორების მოქნილობის გაზრდა დღეს არსებულ გამოწვევებთან. უსაფრთხოებაზე აქცენტის გაკეთება სამეზობლოს ფარგლებში თანამშრომლობის ახალ სფეროებს შექმნის. თანამშრომლობისას ასევე შესაძლებელია უსაფრთხოების სფეროს რეფორმირება, საზღვრების დაცვა, ტერორიზმთან და რადიკალიზაციასთან გამკლავება და კრიზისების მართვა.

2015 წლის ივნისში ევროკავშირის საბჭომ აღნიშნა, რომ უმნიშვნელოვანესია პარტნიორი ქვეყნების დახმარება და გაძლიერება. ისინი ამით შეძლებენ თავიდან აიცილონ კრიზისები და თვითონ მართონ. დღევანდელ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გამოწვევებიდან გამომდინარე, ევროკავშირმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს უსაფრთხოების სფეროს რეფორმირებას. “ევროპის უსაფრთხოების დღის წესრიგით”²¹ განახლებული ევროპის სამეზობლო პოლიტიკის მთავარი გამოწვევა იქნება ტერორიზმთან ბრძოლა და რადიკალიზაციის თავიდან აცილება. ასევე კორუფციასთან ბრძოლა, თანამშრომლობის გაუმჯობესება მართლმსაჯულების და სისხლის სამართლის საკითხებში, კიბერდანაშაულთან ბრძოლა და ა.შ ახალი ევროპის სამეზობლო პოლიტიკა გააკეთებს აქცენტებს ასევე მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე, როგორცაა მიგრანტთა ტრეფიკინგი, ადამიანთა ტრეფიკინგი, სოციალური თანასწორობა და საზღვრის დაცვა/მართვა.

უსაფრთხოების სფეროს რეფორმა : ევროკავშირი აპირებს პარტნიორი ქვეყნების უსაფრთხოების თემაზე პასუხისმეგებელ ორგანოებთან უფრო მუდმივი კავშირების დამყარებას. პარტნიორ ქვეყნებს სჭირდებათ სამოქალაქო და სამხედრო უსაფრთხოების საკითხებში დახმარება. ასეთი ტიპის თანამშრომლობაში მოიაზრება რჩევები პოლიტიკის სფეროში, დიალოგი სამოქალაქო საზოგადოებასთან და უსაფრთხოების პროგრამების მხარდაჭერა.

ტერორიზმთან ბრძოლა: ტერორიზმი და რადიკალიზაცია საფრთხის შემცველია როგორც ევროპისთვის, არამედ მთლიანი მსოფლიოსთვის. შესაბამისად ევროკავშირი პარტნიორებთან ერთად დიდი ძალისხმევით იმუშავებს კონტრტერორიზმის, რადიკალიზაციის და ძალისმიერი ექსტრემიზმის წინააღმდეგ. გვერდში დაუდგება სისხლისსამართლებრივ დევნას ტერორიზმის დასაძლევად, ასევე ფულის გათეთრებას.

²¹ Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the Economic and Social Committee and the Committee of the Regions : the European Agenda on Security, COM (2015) 185 final

სამოქალაქო საზოგადოების და ახალგაზრდული ორგანიზაციების ჩაბმა რადიკალიზაციის პრევენციის საკითხში უმნიშვნელოვანესია. რადიკალიზაციის წინააღმდეგ განხორციელებული მასშტაბური საქმიანობა მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა არაპროდოქტიული მართლმსაჯულება, გენდერული თანასწორობა, სიძულვილის ენა, წერა-კითხვის უცოდინრობა, უმუშევრობა ახალგაზრდებში და ა.შ. ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა : ორგანიზებული დანაშაული და კორუფცია საფრთხის შემცველია მთლიანად რეგიონისთვის. ევროკავშირი უნდა დაეხმაროს პარტნიორ ქვეყნებს საერთაშორისო დანაშაულთან ბრძოლაში, მათ შორის მიგრანტთა და ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ და ასევე დანაშაულებრივ სქემებთან გამკლავებაში. ევროკავშირი უნდა დაეხმაროს ფინანსურ გამოძიებებს აუცილებლად. ამ მიზნით „ევროპის უსაფრთხოების დღის წესრიგი“²² მზადყოფნაშია გააფართოვოს პოლიტიკის ციკლი და მოიცვას სამეზობლოს ქვეყნები. ევროკავშირმა უნდა გამოახოს ძალები და ჩართოს პარტნიორი სახელმწიფოები არსებულ ფინანსურ საგამომძიებო ქსელებში. უფრო მეტიც, ევროკავშირი გააგრძელებს პარტნიორებთან მუშაობას ადამიანების უკანონო ტრეფიკინგის დასაძლევად, ცეცხლსასროლი იარაღით და მსუბუქი შეიარაღებით უკანონო ვაჭრობის აღსაკვეთად და ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ თანამშრომლობის მიზნით. ევროკავშირი შეეცდება ასევე, განავითაროს მართლმსაჯულების და პოლიციის სფეროში არსებული სისტემა პარტნიორ ქვეყნებში. ინტერპოლთან ერთად საჭიროა გამოჩნდეს სხვა საშუალებები სამართალდამცავი ორგანოების გასაძლიერებლად და მუშაობის გასააქტიურებლად.

კიბერდანაშაულთან ბრძოლა: „ევროკავშირის კიბერდანაშაულის სტრატეგია“²³ კმნის სამოქმედო ჩარჩოს მეზობელ-პარტნიორთა უფრო ინტენსიურად ჩართვისთვის. ევროკავშირი უნდა დაეხმაროს პარტნიორებს კიბერდანაშაულის სფეროში განვითარებისთვის და ასევე კიბერდანაშაულთან და კიბერტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში. ამ ყველაფერში შედის საფრთხეების ანალიზი, სამართლებრივი ტრენინგი, შესაბამისი ეროვნული პოლიტიკა, სტრატეგიის და ინსტიტუტების შექმნა. ევროკავშირი განაგრძობს ბუდაპეშტის კონვენციის პოპულარიზაციას და რატიფიკაციის მხარდაჭერას სამეზობლოს პარტნიორებთან. ეს კონვენცია გახლავთ

²² The European Agenda on Security (COM(2015)185 final)

²³ Cybersecurity Strategy of the European Union: An Open, Safe and Secure Cyberspace (JOIN(2013) 1 final)

მოდელი კიბერდანაშაულის ეროვნული კანონმდებლობის შესაქმნელად და ამ სფეროში თანამშრომლობის ფუნდამენტს წარმოადგენს.

ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური ბირთვული რისკების შემცირება: ევროკავშირის მთავარი მიზანია პარტნიორების დახმარება რეაგირების უნარის გაზრდაში, მათ შორის ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ცენტრების საშუალებით ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის არქიტექტურის ფარგლებში შექმნილი სტრუქტურები შეიძლება გახდეს საუკეთესო პლატფორმა საერთო მიზნების მიღწევის საკითხში თანამშრომლობისა და შესაძლებლობების გაზრდისთვის. ახალი ბიძგი მიეცემა ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის სფეროში თანამშრომლობას. პარტნიორი ქვეყნების სულისკვეთებისა და მოტივაციისათვის უნდა მოხდეს მონაწილეობის წახალისება CSDP მისიებსა და ოპერაციებში. ევროკავშირი ასევე წამოიწყებს პარტნიორ ქვეყნებთან უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროებში დიალოგს და ხელს შეუწყობს პარტნიორი ქვეყნების ოფიციალური პირების და ოფიცრების მონაწილეობას თავდაცვის კოლეჯების მიერ ორგანიზებულ კურსებში. ევროკავშირის მიერ საგარეო კონფლიქტებისა და კრიზისებისადმი ყოვლისმომცველი მიდგომის გათვალისწინებით გამოყენებული იქნა ყველა ბერკეტი, მათ შორის CSDP მისიები და ოპერაციები ან ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის ინსტიტუტი, რომელიც დაეხმარება კრიზისების მართვასა და სამეზობლოში გაჭიანურებული კონფლიქტების მოგვარებას.

კრიზისების მართვა და მათზე რეაგირება : ევროკავშირმა ხელი უნდა შეუწყოს პარტნიორ ქვეყნებში პრევენციისა და მზადყოფნის შესაძლებლობების გაზრდას სამოქალაქო თავდაცვის სფეროში მჭიდრო პარტნიორობისა და ევროკავშირის სამოქალაქო თავდაცვის მექანიზმის ფარგლებში თანამშრომლობის გზით. ევროკავშირი ყურადღებას დაუთმობს ჯანდაცვის უსაფრთხოების საკითხებს და გაზრდის პარტნიორი ქვეყნების ჯანდაცვის საფრთხეებზე ეფექტურად რეაგირებს უნარს. კრიზისების რეაგირების კონტექსტში შესაძლოა განხილულ იქნეს ევროკავშირის სატელიტური ცენტრის მიერ გავრცელებულ ვიზუალურ მასალაზე დაუგეგმავი წვდომა. პროგრამირებაში შედარებითი თავისუფლება და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის და სხვა ინსტრუმენტების გამოყენება უმნიშვნელოვანესია ამ მიდგომის

განსახორციელებლად. ამიტომ, უზრუნველყოფილი იქნება უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საქმიანობის მჭიდრო კოორდინირება ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტის ფარგლებში, ასევე, ევროკავშირის წევრი ქვეყნების ორმხრივი თანამშრომლობა, შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების ფორმატში თანამშრომლობის ჩათვლით. ყოვლისმომცველი მიდგომის გათვალისწინებით ევროკავშირის წევრი ქვეყნები და ევროკავშირის უწყებები უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებენ როგორც უსაფრთხოების სფეროსთვის დახმარების შემუშავებაში, ისე მის განხორციელებაში.

2.2 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი და ევროკავშირის სამხედრო გამოწვევა

საქართველო ყოველთვის გამოთქვამდა სურვილს ევროპული ინტეგრაციისკენ, მაგრამ აღსანიშნავია ის არასწორი მოლოდინები რაც საზოგადოებას გააჩნდა ევროკავშირის მისამართით, განსაკუთრებით 2008 წლის აგვისტოს ომის დროს. საზოგადოების უმრავლესობას ჰქონდა ისეთი განცდა რომ ევროკავშირი შეეცდებოდა რუსეთის შეჩერებას ხისტი ძალით. რეალურად ევროკავშირი არანაირად არ არის სამხედრო მოთამაშე. ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ინსტრუმენტმა რეალურად მოქმედება დაიწყო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ.

საქართველოსთან ურთიერთობისას, ევროკავშირის ლიდერები ყოველთვის ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ ამ ორგანიზაციის ისტორიის განმავლობაში ეს იყო ყველაზე ოპერატიული მისიის გაგზავნა დანიშნულების ადგილზე. მათ გააჩნდათ ყოველთვის პრობლემები მისიის შესრულების პერიოდში მთელ საქართველოს ტერიტორიაზე. გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია არის შეუიარაღებელი, რომელსაც არ გააჩნია აღმასრულებელი უფლებები, მაგრამ საქართველოსთვის ეს არის უმნიშვნელოვანი მოვლენა. ეს ყველაფერი იმ გარემოებაში, როცა რუსეთის ბერკეტებით საქართველოში მანდატი შეუჩერდათ ეუთოსა და გაეროს მისიებს. რუსეთის არასტაბილური პოლიტიკის პირობებში საციცოხლოდ

მნიშვნელოვანია საერთაშორისო მისიის არსებობა და მონიტორინგის წარმოება. ჩემი აზრით, მიუხედავად იმისა რომ ევროკავშირი თავს არ ზოგავს თავისი მისიის შესრულებაში, საჭიროა მოხდეს უფრო ქმედითი და ეფექტური პროგრამის შემუშავება და არ შემოიფარგლოს მხოლოდ დაკვირვების ფუნქციით (გააკეთოს აქცენტი საპოლიციო თანამშრომლობაზე).

12 აგვისტოს, როდესაც რუსულმა ჯარმა დაიკავა გორი საქართველო 2 ნაწილად გაიხლიჩა. ეს ყველაფერი პირდაპირი გამოწვევა იყო ევროკავშირისთვის რათა სიტუაციის დეესკალაცია მალევე მოეხდინა. ნიკოლა სარკოზისთვის ეს იყო უდიდესი გამოწვევა. მან იმოქმედა ოპერატიულად და მალევე გაემგზავრა მოსკოვში მოლაპარაკებების გასამართად. უდიდესი წინაღობები იყო მოლაპარაკებების დროს, მაგრამ საბოლოოდ სარკოზიმ მოახერხა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება, მაგრამ ხაზი უნდა გაესვას მოლაპარაკებების შედეგად მიღებული შეთანხმების ბუნდოვანებას. “ევროკავშირის შუამავლობის საფუძველზე მომზადებული გეგმა, რომელიც ექვს პრინციპს ეფუძნება:

1. ძალის გამოყენებაზე უარის თქმა
2. საბრძოლო ქმედებებზე საბოლოო უარის თქმა
3. ჰუმანიტარული დახმარებისთვის თავისუფალი მიმოსვლის უზრუნველყოფა
4. საქართველოს შეიარაღებული ძალები უნდა დაბრუნდნენ მათი ჩვეულებრივი დისლოკაციის ადგილებში
5. რუსეთის შეიარაღებული ძალები უნდა დაბრუნდნენ სამხედრო მოქმედებების დაწყებამდე არსებულ ხაზზე. საერთაშორისო მექანიზმის შექმნამდე, რუსეთის სამშვიდობო ძალები განახორციელებენ უსაფრთხოების დამატებით ზომებს
6. საერთაშორისო დისკუსიების დაწყება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის პირობების შესახებ.”²⁴

²⁴ Six Point Peace Place, Documented by the Government of Georgia, <http://smr.gov.ge/Uploads/9bbbc7.pdf> ,
ბოლოს ნანახია 06.12.2018



Documented by the Government of Georgia

Russian Aggression of Georgia

Six Point Peace Plan

Le Président de la République

Protocole d'accord

- 1/ Ne pas recourir à la force.
- 2/ Cesser les hostilités de façon définitive.
- 3/ Donner libre accès à l'aide humanitaire.
- 4/ Les forces militaires géorgiennes devront se retirer dans leurs lieux habituels de cantonnement.
- 5/ Les forces militaires russes devront se retirer sur les lignes antérieures au déclenchement des hostilités. Dans l'attente d'un mécanisme international, les forces de paix russes mettront en œuvre des mesures additionnelles de sécurité.
- 6/ Ouverture de discussions internationales sur les modalités de sécurité et de stabilité en Abkhazie et en Ossétie du Sud.

Pour l'Union européenne,
la Présidence française

Nicolas Sarkozy




ქართულმა მხარემ უარი თქვა ბოლო პუნქტის დამატებაზე. საბოლოოდ ბოლო პუნქტი ჩამოყალიბდა ასე “სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის პირობებთან დაკავშირებით საერთაშორისო მოლაპარაკებების წარმართვა“.

საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირის სწრაფმა რეაგირებამ შედეგი გამოიღო და 5 დღიანი ომი დასრულდა. ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას ყველა მხარემ მოაწერა ხელი. ამ ყველაფრის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ რუსეთმა გაზარდა თავისი გავლენა აფხაზეთზე და სამხრეთ ოსეთზე, არ შეუსრულებია მეხუთე პუნქტი და არც ძველი ლოკაციის ადგილს არ დაბრუნებია სადაც იყვნენ ომის დაწყებამდე, თუმცა რუსმა სამხედროება საქართველოს დანარჩენი ტერიტორია დატოვეს.

ევროკავშირი ყოველთვის იყო ერთ-ერთი მსხვილი დამფინანსებელი და დამხმარე საქართველოში ოკუპაციის შედეგად დაზარებული ხალხის მიმართ. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ წარმოიქმნა დევნილების ახალი ტალღა, რის შედეგადაც უფრო გაიზარდა ევროკავშირის ჩართულობა ამ პროცესში. აღსანიშნავია სხვა საერთაშორისო აქტორებთან შედარებით ევროკავშირის გულუხვობა დაზარალებული პირების მიმართ. ევროკავშირის დახმარება მეტად ეფექტიანი და გადამწყვეტი აღმოჩნდა. 2008 წლის ომის შედეგად დაზარალებულებს ევროკავშირმა ასევე ჰუმანიტარული დახმარებაც გაუწია, რამაც გაუადვილა მათ ზამთრის გადატანა. 12 მილიონი გამოიყო დევნილების გადაუდებელი საჭიროებისთვის, 29 მილიონი ევრო ეკონომიკური აქტივობებისთვის. ევროკავშირმა გამოყო ასევე 105 მილიონი საცხოვრებელი ფართებისთვის, რითიც დაეხმარა გადაადგილებულ პირებს. ევროკავშირმა უზარმაზარი დახმარება გაუწია აგვისტოს ომში დაზარალებულებს და ასევე განავითარა ინსტიტუციური მხარდაჭერის სისტემები. ინსტიტუციურ მხარდაჭერის სისტემებში ვგულისხმობ ევროკავშირის სამეთვალყურეო მისიას (EUMM) , ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები და ნდობის აღდგენის ადრეული რეაგირების მექანიზმი (COBERM).

“ასევე 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოსა და რუსეთს შორის შეიქმნა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატი. აღნიშნული დისკუსიების

ჩამოყალიბების გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესაბამისად. მას შემდეგ წელიწადში ტარდება 4 რაუნდი. საქართველოსა და რუსეთის გარდა, მოლაპარაკებებში მონაწილეობას იღებენ აშშ-ს წარმომადგენლები და თანათავმჯდომარეები ეუთოს, ევროკავშირის და გაეროს მხრიდან. დისკუსიებში ასევე ჩართულნი არიან ცხინვალის და სოხუმის წარმომადგენლები. გარდა ამისა, ჟენევის მოლაპარაკებებში მონაწილეობენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. აღნიშნული ფორმატის ყველა მონაწილე ინდივიდუალური სტატუსით არის წარმოდგენილი. ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები მიმდინარეობს ორ პარალელურ სამუშაო ჯგუფში. პირველში განიხილავენ უსაფრთხოების საკითხებს (მაგალითად, რუსეთსა და საქართველოს შორის ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმების მიღწევა და საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნა), ხოლო მეორეში - იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა დაბრუნების საკითხი, ასევე სხვა ჰუმანიტარული საკითხები (მშობლიურ ენაზე განათლების მიღება, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, საოკუპაციო ხაზზე თავისუფალი გადაადგილება და სხვა).²⁵

ბოლო 10 წლის პერიოდში მედიაციის ფორმატში ევროკავშირის მნიშვნელოვანი როლი უჭერია, ამიტომაც მნიშვნელოვანია ევროკავშირის მიერ საქართველოში კონფლიქტის დეესკალაციის საუბრისას დიდი ყურადღება დავუთმოთ ჟენევის მოლაპარაკებებს.

მოლაპარაკებები წელიწადში ოთხჯერ იმართება და ეს არის ერთადერთი რესურსი სადაც აგვისტოს ომის შემდეგ საქართველო და რუსეთი აფიქსირებენ თავიანთ პოზიციას ერთმანეთის მისამართით. ჟენევის მოლაპარაკებები აგვისტოს ომის შემდეგ იყო ერთადერთი საერთაშორისო ბერკეტი, სადაც დაპირისპირებულ მხარეებს შეუძლიათ მოლაპარაკებების წარმოება. ამ ფორმატში საქართველო თავდაუზოგავად და პასუხისმგებლიანად არის ჩართული, რადგან ჟენევის ფორმატის შესაძლებლობები მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული. ევროკავშირი გახლავთ მოლაპარაკებების

²⁵ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, smr.gov.ge , ბოლოს ნანახია 06.12.2018

მედიატორი. მიუხედავად იმისა რომ რუსეთი ნაკისრ ვალდებულებებს არ ასრულებს, მოლაპარაკებების პროცესის შეწყვეტის შემთხვევაში საქართველო დაკარგავს ევროკავშირის როგორც შუამავალს. ეს კი საქართველოსთვის ერთ-ერთი დიდი დიპლომატიური წარმატებაა. მნიშვნელოვანი ფაქტორია ისიც, რომ ევროკავშირი აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ევროკავშირის დაკარგვა როგორც მედიატორის იქნება ერთ-ერთი დიდი დიპლომატიური მარცხი საქართველოსთვის. მიუხედავად იმისა რომ დიდად პროდუქტიული საქართველოსთვის ჟენევის ფორმატი არ გახლავთ, დიპლომატიური ურთიერთობის არარსებობის ფონზე მაინც რჩება საქართველო-რუსეთს შორის კომუნიკაციის თვალსაზრისით ერთ-ერთ ეფექტურ ძალად.

„2008 წლიდან მოყოლებული საერთო ჯამში უამრავი მოლაპარაკება ჩატარდა საერთაშორისო ჯგუფის დონეზე. ამ შეხვედრების ერთადერთ ხელშესახებ წარმატებად შესაძლოა ჩაითვალოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისთვის IPRM -ის დაარსება, რაც უსაფრთხოების კუთხით არსებული ვითარების და ადმინისტრაციულ სასაზღვრე ზოლზე მომხდარი ინციდენტების განხილვების შესაძლებლობას ქმნის. IPRM მექანიზმის დაარსების გადაწყვეტილება 2009 წლის თებერვალში მიიღეს მოლაპარაკებების მე-5 რაუნდზე. IPRM მიზნად ისახავს უსაფრთხოების კუთხით არსებულ გამოწვევებზე დროულ და ადეკვატურ რეაგირებას, მათ შორის ინციდენტებსა და მათ გამოძიებაზე, მნიშვნელოვანი მოწყობილობების და ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების უზრუნველყოფას, კრიმინალურ ქმედებებზე რეაგირებას, ჰუმანიტარული დახმარების ეფექტურ მიწოდებას, ნებისმიერ დანარჩენ საკითხზე რეაგირებას, რაც სტაბილურობასა და უსაფრთხოებას უკავშირდება, განსაკუთრებული ყურადღება კი ინციდენტის პრევენციას და მასზე რეაგირებას ეთმობა.“²⁶

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების შეფასებისას შეიძლება იმის თქმა, რომ ამ ფორმატის არსებობის 10 წლის განმავლობაში საქართველო რუსეთისგან უშედეგოდ ითხოვს ძალის არგამოყენების ვალდებულების აღებას. კავკასიის უსაფრთხოების თემატიკაზე ჟენევის დისკუსიები უკვე 10 წელია მიმდინარეობს, მაგრამ მას დღემდე

²⁶ კონფლიქტის ადრეული გამოვლენის და მშვიდობის მშენებლობის პროცესში ევროკავშირის მონაწილების ანალიზი/შეფასება , ნანი მაჭარაშვილი, ეკატერინე ბასილაია, ნიკოლოზ სამხარაძე, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი არ მოუტანია. ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სუსტი მხარეა ბუნდოვნად ფორმულირებული 6 პუნქტიანი შეთანხმება, რომელიც თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე ინტერპრეტაციის საშუალებას აძლევს ორივე მხარეს. ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებიდან გამომდინარე არცერთ შეხვედრაზე არ მომხდარა მნიშვნელოვან საკითხზე შეთანხმება. ერთ-ერთი პრობლემა არის ასევე სამოქალაქო საზოგადოების გამოთიშვა ამ ფორმატიდან. სამოქალაქო საზოგადოება ამ ფორმატის პერიოდში არის უმეტესად ინფორმაციულ ვაკუუმში, რადგან მოლაპარაკებები მიდის გაუმჭირვალე ფორმატში რაც ინფორმაციის ნაკლებობას იწვევს. სამოქალაქო საზოგადოებას არ აქვს ინფორმაცია არც განხილული თემების და არც შედეგების. ჟენევის მოლაპარაკებები არის ვიწრო ჯგუფის მიერ მართული და ამ ყველაფერს სამოქალაქო საზოგადოება გამოთიშულია. მთავარი ხელის შემშლელი ფაქტორი ჟენევის მოლაპარაკებების მაინც რუსეთია, რადგანაც ისინი ყველანაირად ცდილობენ შეამცირონ ევროკავშირის ეფექტიანება ამ ფორმატში.

ტალიავინის კომისია ევროკავშირის მხარდაჭერით შეიქმნა 2008 წლის 2 დეკემბერს. ტალიავინის კომისიის მიზანი კონფლიქტის წარმოქმნის და მისი მიმდინარეობის გამოძიება იყო, ოღონდ მათ არ ქონდათ სამარლებრივი შეფასების უფლებამოსილება. მნიშვნელოვანია იმის თქმა, რომ ამ კომისიის შექმნის იდეის ავტორი საქართველო იყო. იმ პირობებში როდესაც საინფორმაციო ომში რუსეთი ძალიან დიდ პროპაგანდას ანხორციელებდა საჭირო იყო მიუკერძოებელი მსაჯის არსებობა. ყველაზე სამწუხარო ის იყო რომ იმ კომისიის წევრების ნაწილს რომელიც მიუკერძოებელი არბიტრი უნდა ყოფილიყო განცხადებები ჰქონდათ უკვე გაკეთებული ამ თემაზე. ამის ნათელი მაგალითია გერმანელი პროფესორის ოტო ლუხტერჰანდტის განცხადება და კრისტოფერ ლანგტონის სტატია, რომლებიც ამ კომისიის წევრები იყვნენ. ანუ ამ ხალხმა თავიანთი პოზიცია კომისიაში მუშობამდე ჰქონდათ დაფიქსირებული. როდესაც ჰაიდი ტალიავინი თბილისში ჩამოვიდა, ქართულმა მხარემ მოითხოვა ამ ხალხის კომისიიდან ჩამოშორება, მაგრამ ლანგტონიც და ლუხტერჰანდტიც დარჩნენ კომისიაში.

„კომისიის დასკვნა ომიდან ერთი წლის შემდეგ გამოქვეყნდა. დასკვნის თანახმად, ღია საომარი მოქმედებები ცხინვალის დაბომბვით დაიწყო, თუმცა შეუძლებელია მთელი პასუხისმგებლობა მხოლოდ ერთ მხარეს დაეკისროს. აღნიშნულია ისიც, რომ სამხედრო პროვოკაცია რუსეთის მხრიდან დიდი ხნის განმავლობაში მზადდებოდა და ომის დაწყებას წინ რუსეთსა და საქართველოს შორის დაძაბულობის ხანგრძლივი პერიოდი, ინციდენტები და პროვოკაციები უძლოდა. დასკვნის გამოქვეყნებამდე და შემდეგაც კომისიის წევრებმა არაერთხელ განმარტეს, რომ კომისიის მუშაობის მიზანი ომის დაწყებაში რომელიმე მხარის პირდაპირი დადანაშაულება არ იყო, თუმცა, საბოლოოდ, დისკუსიები ძირითადად ამ მიმართულებით წარიმართა.“²⁷

“ევროკავშირის მხრივ შეიძლება იმის თქმა, რომ პირველად მისი ისტორიის განმავლობაში ევროკავშირმა გადაწყვიტა აქტიურად ჩართულიყო სერიოზულ შეიარაღებულ კონფლიქტში. ასევე პირველად მოხდა ის , რომ ევროკავშირმა ჩამოაყალიბა ფაქტების დამდგენი მისია, როგორც კონფლიქტის შემდგომი პერიოდის პოლიტიკური და დიპლომატიური მექანიზმი. მისიას მისი მუშაობის პროცესში დახმარებასა და კონსულტაციებს უწევდა უფროს მრჩეველთა საბჭო. აუცილებელია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ ფაქტების დამდგენი მისია მხოლოდ ფაქტების დადგენით შემოიფარგლა და ის არ წარმოადგენს ტრიბუნალს.“²⁸

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია (EUMM)

“ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში შეუიარაღებელი სამოქალაქო სადამკვირვებლო მისიაა. იგი ევროკავშირის მიერ 2008 წლის 15 სექტემბერს დაარსდა. 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შემდეგ, ადგილზე სიტუაციის სტაბილიზაციის ხელშესაწყობად, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ 200-ზე მეტი სამოქალაქო დამკვირვებელი გამოიგზავნა. ისინი საქართველოსა და რუსეთის მიერ ევროკავშირის შუამავლობით ხელმოწერილ 12 აგვისტოს ექვსპუნქტიან შეთანხმებასა და 2008 წლის 8 სექტემბრის განხორციელების ზომების ხელშეკრულებასთან ყველა მხარის შესაბამისობში ყოფნას აკვირდებიან. მისიამ სადამკვირვებლო

²⁷ რადიო თავისუფლება, ტალიავინის დასკვნა ქართულად, <https://www.radiotavisupleba.ge/a/taliavinis-komisiis-daskvna/25212133.html> , ბოლოს ნანახია 06.12.2018

²⁸ HEINRICH Böll STIFTUNG, ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროს დაკვეთა

საქმიანობა 2008 წლის 1 ოქტომბერს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მიმდებარე ტერიტორიებიდან რუსული შეიარაღებული ძალების გაყვანის პროცესზე დაკვირვებით დაიწყო. მას შემდეგ, მისია ახორციელებს 24 საათიან პატრულირებას და განსაკუთრებულ ყურადღებას სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრების მიმდებარე ტერიტორიებს უთმობს. მისიის ძალისხმევა, ძირითადად, ადგილზე არსებულ მდგომარეობაზე დაკვირვებასა და ინციდენტების შესახებ ანგარიშების წარდგენას მოიცავს. ასევე, შესაბამის მიდამოებში მუდმივად ადგილზე ყოფნით მისია ზოგადად უსაფრთხოების მდგომარეობის გაუმჯობესებას უწყობს ხელს.”²⁹

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატი მოიცავს დარეგულირებას, ნდობის აღდგენას და ნორმალიზაციას, ასევე რეპორტების მომზადებას ევროკავშირისთვის და მათთვის წარდგენას, რაც სამომავლოდ ევროკავშირის ჩართულობას უწყობს ხელს კავკასიაში. პირველ ეტაპზე მისია 12 თვით შეიქმნა, მაგრამ გარკვეული გარემოებების გამო მისიის მანდატი 5-ჯერ გადავადდა. მანდატის მიხედვით, სადამკვირვებლო მისია საქართველოს მთელ ტერიტორიას მოიცავს, რომელიც აღიარებულია საერთაშორისო საზოგადოების მიერ, მაგრამ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება დამკვირვებლებს შესვლის შესაძლებლობას არ აძლევს.

სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლების თქმით „უპირველეს ყოვლისა მისია შეიარაღებული კონფლიქტის განახლების თავიდან აცილებასა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრების მიმდებარე ტერიტორიებზე ადგილობრივი მოსახლეობისათვის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე მუშაობს. მისიას სურს ხელი შეუწყოს ისეთი პირობების შექმნას, სადაც მშვიდობიანი მოსახლეობა შიშისა და დაბრკოლების გარეშე შეძლებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრების გადაკვეთას ორივე მიმართულებით, რაც არსებული გამყოფი ხაზების ნეგატიურ გავლენას შეამცირებს“³⁰

ევროკავშირის სამეთვალყურეო მისიის პრიორიტეტებია:

²⁹ <https://eumm.eu/ge/>, EUMM ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში

³⁰ <https://eumm.eu/ge/>, EUMM ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში

- ნებისმიერი დაპირისპირების აღკვეთა;
- აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის ორივე მხარეს მცხოვრები ადგილობრივი საზოგადოებისთვის უსაფრთხო და ჩვეულებრივი ცხოვრების აღდგენის ხელშეწყობა;
- დაპირისპირებულ მხარეთა შორის ნდობის აღდგენა;
- ევროკავშირის პოლიტიკის გატარებაროგორც საქართველოში, ასევე მთლიან რეგიონში;

ევროკავშირის სამეთვალყურეო მისიასა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის 2008 წლის ოქტომბერში დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმი ამკვიდრებს გამჭვირვალობის ხარისხს და ასევე აწესებს შეზღუდვებს იმ აღჭურვილობაზე, რომელიც ქართული პოლიციის მიერ გამოყენებული იქნება მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელებულ ღონისძიებებში.³¹

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ევროკავშირის სახელმწიფოებმა სხვადასხვა, სამოქალაქო, საპოლიციო და სამხედრო გამოცდილების მქონე მამაკაცები და ქალები გამოგზავნეს სადამკვირვებლო მისიაში. ამ ყველაფერში ევროკავშირის ოცდარვა სახელმწიფოდან ოცდაექვსმა მიიღო მონაწილეობა. რთულ გარემოში ასეთი გამოცდილების მქონე დამკვირვებლები რა თქმა უნდა მისიას უფრო ეფექტურს გახდიდნენ.

მისიის მთავარი ოფისი თბილისში მდებარეობს, მაგრამ ამავდროულად მუშაობს რეგიონალური ოფისები მცხეთაში, გორსა და ზუგდიდში. “თითოეულ რეგიონალურ ოფისში დამკვირვებლები სამ თემატურ ჯგუფად არიან დაყოფილნი. ესენია:

- ნდობის აღდგენა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრების მიმდებარე ტერიტორიებზე.
- საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებთან გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმების შესრულების მონიტორინგი.
- კონფლიქტის მართვისას ადამიანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები³²

³¹ კონფლიქტის ადრეული გამოვლენის და მშვიდობის მშენებლობის პროცესში ევროკავშირის მონაწილეობის ანალიზი/შეფასება , ნანი მაჭარაშვილი, ეკატერინე ბასილაია, ნიკოლოზ სამხარაძე, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

³² <https://eumm.eu/ge/>, EUMM ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში

2008 წლის ოქტომბრის თვეში სადამკვირვებლო მისიამ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან გააფორმა ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომელიც გამჭირვალეს ხდის და ზრუდავს საზღვრებზე საქართველოს საპოლიციო ძალების მიერ განხორციელებულ ქმედებებს. ასევე 2009 წლის იანვარში თავდაცვის სამინისტროსთან გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომლის მიხედვითაც ადმინისტრაციული საზღვრების მიმდებარე ტეროტირიებზე იზღუდება შეიარაღებული ძალების და ტექნიკის განლაგება. ეს ურთიერთგაგების მემორანდუმი 2010 წელს შესწორდა. ეს ნაბიჯი არის გადადგმული ექვსპუნქტიანი შეთანხმების პრინციპზე და ორიენტირებულია ძალის არგამოყენების პრინციპზე, მაგრამ სამწუხაროდ ეს ქმედება არის ცალმხრივი და იგივე პასუხი არ არის რუსეთისგან. ქენევის ფორმატის ფარგლებში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მონაწილეობით შედგა შეხვედრები.

სადამკვირვებლო მისიას აქვს ასევე შექმნილი „ცხელი ხაზი“, რომელიც საკმაოდ პროდუქტიულია და არაერთხელ შეუწყო ხელი დამაბულობის განმუხტვას. მისია 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ სიტუაციის სტაბილიზაციას აკვირდება. მისია მონიტორინგს უწევს 2008 წლის ომის შედეგად დაზარალებულ რეგიონებში კანონის უზენაესობას. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ასევე მონიტორინგს უწევს ომის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირების ნორმალური საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფას. აღსანიშნავია, რომ მისია ეხმარება არამარტო 2008 წლის ომით დაზარალებულებს, ასევე 1991-1993 წლების ომის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირებსაც. სხვადასხვა რესურსების წყალობით ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას შეუძლია ოპერატიულად ინფორმაციის შეგროვება ადგილზე განვითარებულ მოვლენებზე და შემდგომ კომპეტენტური ორგანოებისთვის მიწოდება ადგილობრივ, სამთავრობო თუ საერთაშორისო დონეებზე რომელთა პრეროგატივაც გახლავთ კონკრეტული დაზარალების განხორციელება.

საქართველოში სადამკვირვებლო მისიაში ჩართულია 300 მდე პერსონალი, თითქმის 70 % დაკომპლექტებულია ევროკავშირის წევრი ქვეყნებით, ხოლო დანარჩენს შეადგენენ საქართველოს მოქალაქეები. ეს გუნდი დაკომპლექტებულია უაღრესად პროფესიონალი პერსონალით. აგვისტოს ომიდან მოყოლებული როდესაც ჩამოყალიბდა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია მასში მონაწილეობა

ევროკავშირის ყველა სახელმწიფომ მიიღო. ოთხი დამკვირვებლიდან ერთი ქალია. ასე არის 2011 წლიდან, მაგრამ უნდა ითქვას რომ ევროკავშირი ყოველთვის ცდილობს გააუმჯობესოს გენდერული ბალანსი და მეტი ქალი გამოგზავნონ მისიაში.

ევროკავშირის სამეთვალყურეო მისია მეთვალყურეობის ფუნქციათა მრავალფეროვნების გათვალისწინებით სამი სხვადასხვა სახის პატრულირებას აწარმოებს ყველა საველე ოფისიდან:

1. **პატრულირება ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლზე** - ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლების და მიმდებარე ტერიტორიების ზედამხედველობა; ადგილობრივ დონეზე უსაფრთხოების აქტორებთან თანამშრომლობა.
2. **პატრულირება ადამიანის უსაფრთხოების დაცვის მიზნით**- თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებასთან. შეხვედრების ორგანიზება სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა შორის ინფორმაციის გაზიარების მიზნით; დევნილებთან და მათ საცხოვრებელთან დაკავშირებული საკითხების მონიტორინგი;
3. **შესაბამისობის პატრულირება** – ურთიერთგაგების მემორანდუმის შესრულების მონიტორინგი შსს-სა და ევროკავშირის სამეთვალყურეო მისიას შორის გაფორმებული; ასევე თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურებთან; საქართველოს უსაფრთხოების აქტორების (პოლიციისა და ჯარის) ბაზებისა და აღჭურვილობის დათვალიერება; მნიშვნელოვანი სამხედრო წვრთნებისა და აქტივობების ზედამხედველობა; უსაფრთხოების აქტორების გეგმებისა და შესაძლებლობების შეფასება.”³³

როგორც ვიცით სადამკვირვებლო მისია იარაღის გარეშე მოქმედებს, მაგრამ მათ გააჩნიათ დამცავი ტანსაცმელი ჯავშნის და ჩაფხუტის სახით. ტექნიკური თვალსაზრისით მათ მობილურებთან ერთად აქვთ პორტატული რადიო, რაც ამარტივებს კომუნიკაციის განხორციელებას. მათ აქვთ ასევე ნავიგაციის სისტემა

³³ კონფლიქტის ადრეული გამოვლენის და მშვიდობის მშენებლობის პროცესში ევროკავშირის მონაწილების ანალიზი/შეფასება , ნანი მაჭარაშვილი, ეკატერინე ბასილაია, ნიკოლოზ სამხარაძე, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გადაადგილების უზრუნველსაყოფად და მაღალი ხარისხის ბინოკლები, რომელიც გახლავთ ყველაზე მოხმარებადი ინსტრუმენტი.

მისიის დამკვირვებლები, რომელთა პრიორიტეტიც ადამიანის უსაფრთხოების საკითხებია ყურადღებას ამახვილებენ ადამიანის უფლებათა სფეროზე როგორცაა : გადაადგილების თავისუფლება, სკოლის მოსწავლეთა განათლების უფლება, დაზარალებულ პირთა უფლებები.

ინფორმაციულობის კუთხით პირველი შეხვედრა 2009 წელს ზუგდიდში შედგა. ამ აქტივობების ფარგლებში უამრავი შეხვედრა მოეწყო. შეხვედრების მიზანი მისიის და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ინფორმირებულობა გახლავთ. ხდება კომუნიკაცია და ინფორმაციების გაცვლა ორივე მხრიდან.

რაც შეეხება განხორციელებულ თუ მიმდინარე რეფორმებსა და ურთიერთობის მიმართულებებს ევროკავშირთან მიმართებაში, სურათი შემდეგია: საქართველოში განსახორციელებელი პროექტებისთვის ევროკავშირი ყოველწლიურად 100 მილიონ ევროზე მეტ თანხას გამოყოფს. პროექტები ხორციელდება ისეთ სფეროებში, როგორცაა მმართველობა და განათლება, წყალმომარაგება და ენერგეტიკა, ადამიანის უფლებები და უსაფრთხოება.

ევროკავშირის დახმარება შემდეგი სფეროებისთვის არის გამოყოფილი: მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება, ადამიანის უფლებები, დემოკრატიზაცია და სამოქალაქო საზოგადოება, კონფლიქტების მოგვარება, ეკონომიკა, ვაჭრობა და სახელმწიფო ფინანსების მართვა, ინფრასტრუქტურა, გარემოს დაცვა და სოფლის განვითარება, განათლება, ჯანდაცვა და სოციალური განვითარება.

უფრო მჭიდრო თანამშრომლობის წარმატებული მაგალითები

- ევროკავშირის დახმარება სოფლის მეურნეობისთვის ზრდის ქართველ ფერმერთა შემოსავლებს. ევროკავშირის დახმარებით სწორედ ამისთვის შეიქმნა ფერმერთა 1500 კოოპერატივი. წინასწარი მონაცემები ადასტურებს, რომ ფერმერთა კოოპერატივებს პოტენციურად შეუძლიათ სამრეწველო ხარჯების შემცირება 30%-ით, ხოლო შემოსავლების გაზრდა – 20%-ით. იხ. მოკლე

- ევროკავშირი ინტენსიურად ცდილობს დაეხმაროს საქართველოს მოქალაქეებს, რომ მათთვის მართლმსაჯულება უფრო ხელმისაწვდომი გახდეს. ამ მიზნით ევროკავშირი

დაეხმარა სახელმწიფოს იურიდიული სამსახურის შექმნაში, რომელმაც დღემდე 150 000 საქართველოს მოქალაქეს გაუწია უფასო იურიდიული მომსახურება.

- ევროკავშირი ეხმარება საქართველოს მთავრობას, რომ ფინანსების მართვა უფრო გამჭვირვალე გახდეს, ხოლო ანგარიშვალდებულება მოქალაქეების წინაშე – გაიზარდოს. 2014 წლიდან მთავრობა აქვეყნებს სახელმწიფო ბიუჯეტის ცნობარს მოქალაქეებისთვის, სადაც ნათლად განმარტავს, თუ სად და როგორ დაიხარჯა თანხები.
- ევროკავშირი ეხმარება საქართველოს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობიდან სარგებლის მიღებაში. ხდება დახმარების გაწევა მცირე და საშუალო ბიზნესისთვის და იმისთვის, რომ ქართულმა საწარმოებმა შეძლონ ევროპული სტანდარტის მიღწევა. ორი წლის განმავლობაში ევროკავშირის დახმარებით 100 კომპანიამ უკვე მიიღო ტექნიკური დახმარება. რეგიონებში იქმნება საინფორმაციო ცენტრები ევროკავშირთან ვაჭრობის შესახებ, ხოლო ევროკავშირის თანხებით გამაგრებული საკრედიტო ხაზები ფინანსურად დაეხმარება მცირე და საშუალო საწარმოებს.
- ევროკავშირი ეხმარება საქართველოს განათლების სისტემის მოდერნიზებაში ბოლონის პროცესის ფარგლებში მიმდინარე რეფორმების კონტექსტში. მიმდინარეობს განათლების ხარისხის ზრდა, უნარების განვითარება, განსაკუთრებით ევროკავშირსა და საქართველოს შორის სტუდენტების, მასწავლებლების, მკვლევარების, აკადემიური პერსონალის და ახალგაზრდობის მიმოსვლის (მობილობის) წახალისების ხარჯზე. 1700 სტუდენტსა და თანამშრომლს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს მობილობით; 5300 ახალგაზრდას შეუძლია მიიღოს მონაწილეობა ევროპულ პარტნიორებთან ჩატარებულ ერთობლივ ღონისძიებებში.³⁴

საზოგადოებრივი აზრი ევროკავშირის შესახებ (2018)

პროექტი „ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლო“ ორგანიზაციასთან ACT LLC თანამშრომლობის საფუძველზე ყოველწლიურად ატარებს საზოგადოებრივი აზრის კვლევას ევროკავშირის ექვს აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყანაში.

2018 წლის კვლევის მიხედვით :

³⁴ ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში , https://eeas.europa.eu/delegations/georgia_ka

- საქართველოს მოსახლეობის 49%-ს დადებითი წარმოდგენა აქვს ევროკავშირზე, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში. საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 5%-ს აქვს უარყოფითი წარმოდგენა ევროკავშირის შესახებ, რაც რეგიონულ საშუალო მაჩვენებელზე (13%) გაცილებით ნაკლებია.
- საქართველოს მოსახლეობის 83% თვლის, რომ ევროკავშირთან ურთიერთობები არის კარგი – ეს იგივე მაჩვენებელია, რაც 2017 წელს და გაცილებით აღემატება რეგიონულ საშუალო მაჩვენებელს (63%).
- საქართველოში ადამიანების 70% ენდობა ევროკავშირს (4%-ით მეტი 2017 წელთან შედარებით). ნდობა ევრაზიის ეკონომიკური კავშირის მიმართ კვლავ დაბალია (24%).
- საქართველოს მოსახლეობის 67% (9%-ით მეტი 2017 წელთან შედარებით) ინფორმირებულია, რომ ევროკავშირი ფინანსურ მხარდაჭერას უწევს ქვეყანას, და 59% თვლის, რომ ეს მხარდაჭერა ეფექტურია.³⁵

2.3. ევროკავშირის უსაფრთხოების მიდგომები ბოსნია-ჰერცეგოვინაში - დახმარება რეფორმების გატარებიდან სამშვიდობო მისიამდე

ბოსნია-ჰერცეგოვინა ერთ-ერთი იყო იმ 6 რესპუბლიკას (ხორვატია, სლოვენია, მონტენეგრო, მაკედონია, სერბეთი) შორის, რომლებიც წლების განმავლობაში იუგოსლავიის საზღვრების ქვეშ ერთიანდებოდა.

ბოსნია-ჰერცეგოვინისა და ევროკავშირის ურთიერთობების საკითხში მნიშვნელოვანია 1992 წელი. ამ პერიოდში მიმდინარე სამხედრო დაპირისპირებამ 100 000-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. საბოლოოდ კი 1995 წელს, საერთაშორისო საზოგადოებისა და ნატოს დახმარებით კონფლიქტი დასრულდა პარიზში გაფორმებული “Dayton”-ის ხელშეკრულების შესაბამისად.

სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ბოსნია-ჰერცეგოვინის გრძელი და მნიშვნელოვანი გზა თავისუფლებისა და კეთილდღეობისკენ. 2003 წელს ტესალონიკში

³⁵ EU NEIGHBOURS east, პროექტი „ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლო“, https://www.euneighbours.eu/sites/default/files/publications/2018-07/EU%20NEIGHBOURS%20east_AnnualSurvey2018report_GEORGIA.pdf

მიღებული დეკლარაციის მიხედვით, დასავლეთ ბალკანეთის(იგულისხმება ბოსნია-ჰერცეგოვინაც) მომავალი მჭიდროდ უკავშირდება ევროკავშირს. ამის ნათელი მაგალითი კი ოპერაცია “ALTHEA”-ა ბოსნია-ჰერცეგოვინაში. “ALTHEA”-ა ერთის მხრივ არის ყოვლისმომცველი და თანმიმდევრული ოპერაცია, რომელსაც უფრო მაღალ დონეზე აყავს ბოსნია-ჰერცეგოვინაში არსებული სადამხმარებლო მისიები, როგორც პოლიტიკურ დონეზე, ასევე საპოლიციო და მონიტორინგის მიმართულებით.³⁶

აღნიშნული ოპერაცია არის რიგით მესამე და ყველაზე დიდი მამუტაბის სამხედრო ოპერაცია ევროკავშირის ისტორიაში. ევროპის სამხედრო ძალები, ცნობილი როგორც EUFOR, არის გამოვლინება ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიციისა(ESPD).

მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას ევროკავშირსა და ბოსნია-ჰერცეგოვინას შორის თანამშრომლობის ძირითად მიმართულებებს. 2003 წელს ტესალონიკში მიღებული დეკლარაციის შემდგომ, ევროკავშირისა და ბოსნია-ჰერცეგოვინას ურთერთობები უფრო მაღალ დონეზე ავიდა და მხარეებს პრაქტიკული თანამშრომლობის საშუალება მიეცათ. მათი თანამშრომლობის ძირითად მიმართულებებს კი: თავდაცვა, უსაფრთხოება და ქვეყნის განვითარება წარმოადგენს. ევროპული კავშირი დიდ როლს თამაშობს ქვეყანაში სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარებასა და ისეთი გარემოს შექმნაში, რომელიც საშუალებას აძლევს ქვეყანას სწრაფად და სტაბილურად განავითაროს ეკონომიკა. ამის ნათელი მაგალითია ის გრანტები, რომლებსაც ევროპული კავშირი გამოყოფს ბოსნია-ჰერცეგოვინაში შესაბამისი სექტორების განვითარებისთვის. მაგალითად უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში, ევროპულმა კავშირმა 50 მილიონ ევროზე მეტი თანხის ინვესტირება მოახერხა ქვეყანაში. მხოლოდ 2018 წლისთვის კი 15 მილიონ ევროზე მეტი თანხა იქნება გამოყოფილი, ტურიზმის, სასურსათო, ხისა და მეტალის ინდუსტრიაში.³⁷

ამას გარდა ევროკავშირი ბოსნია-ჰერცეგოვინას ეხმარება იმ რეფორმების გატარებაში, რომელიც ქვეყანას უფრო დაახლოვებს დასავლეთთან. მაგალითად

³⁶ European Union EXTERNAL ACTION , <http://www.euforbih.org/eufor/index.php/about-eufor/background>

³⁷ European Bank for Reconstruction and Development, <https://www.ebrd.com/news/2018/ebd-and-eu-supporting-small-businesses-in-bosnia-and-herzegovina.html>

ქვეყანა ცდილობს დასავლურ სტანდარტებთან მიახლოებას და მდგომარეობის გამოსწორებას შემდეგი მიმართულებებით: საჯარო ადმინისტრირება, სასამართლო სისტემა, ბრძოლა კორუფციასთან და ორგანიზებულ დანაშაულთან, ადამიანის უფლებები და ასევე თავისუფლებისა და გენდერული პოლიტიკის მიმართულებით³⁸. ამ ყველაფერში კი მას ევროპული კავშირი უწევს დიდ დახმარებას. მართალია უკვე გადადგმულმა ნაბიჯებმა გარკვეული შედეგები მოიტანა, თუმცა ადგილობრივი ექსპერტების საუბრობენ ვითარების სტაგნაციაზე და რომ მუშაობა უფრო აქტიურად უნდა მიმდინარეობდეს, რათა ქვეყანამ შეძლოს გამოწვევების შესაბამისად მოქმედება. მაგალითისთვის კი საინტერესოა ბოსნიელი ექსპერტის მირელა გრუნტერის სტატია, სადაც იგი საუბრობს ბოსნია-ჰერცეგოვინაში არსებულ მდგომარეობაზე. იგი ყურადღებას ამახვილებს დეიტონის ხელშეკრულების არაეფექტიანობაზე, ქვეყანაში არსებულ ინსტიტუციურ და სტრუქტურულ პრობლემებზე, საჯარო პოლიტიკის მინუსებზე, ეკონომიკურ პრობლემებზე და რაც ყველაზე მთავარია ხალხის განცდებზე, რომ მათ აქვთ მოვლენებზე ზემოქმედების საშუალება და გადარჩენას საზღვარგარეთ წასვლაში ხედავენ.³⁹

EUFOR ALTHEA ბოსნია-ჰერცეგოვინაში

აღნიშნული მისია 2004 წლის 2 დეკემბერს „გაეშვა“ და იგი გულისხმობდა, ქვეყნის სტაბილურ განვითარებას მშვიდობიან გარემოში. მისიის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ იმ საფრთხეების აღმოფხვრაში მდგომარეობს, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ქვეყნის მშვიდობიან განვითარებას. სამხედრო კონტინგენტი 7000 ადამიანით განისაზღვრა, ხოლო მოქმედებას “Berlin Plus” შეთანხმება განსაზღვრავდა.

აღნიშნულმა ოპერაციამ 4 ჯერ განიცადა რეკონსტრუქცია (ბოლო ცვლილება 2012 წლის სექტემბერში მოხდა), თუმცა მისი ძირითადი ამოცანა, რომ ემოქმედა მშვიდობის შენარჩუნების მიზნით არ შეცვლილა.

აღნიშნული მისიის ძირითადი მიზნები შემდეგია:

³⁸ European Commission – Fact Sheet , Key findings of the 2018 Report on Bosnia and Herzegovina , Brussels, 17 April 2018 , [http://europa.eu/rapid/press-release MEMO-18-3408_en.pdf](http://europa.eu/rapid/press-release_MEMO-18-3408_en.pdf)

³⁹ GREEN EUROPEAN JOURNAL, A NEVER-ENDING ACCESSION PROCESS? BOSNIA AND HERZEGOVINA AND THE EU, <https://www.greeneuropeanjournal.eu/a-never-ending-accession-process-bosnia-and-herzegovinas-long-road-to-the-eu/>

1. სრულად უზრუნველყოს ბოსნია-ჰერცეგოვინის შეიარაღებული ძალების წვრთნა და შესაძლებლობების განვითარება;
2. დაეხმაროს ქვეყანას მშვიდობისა და განვითარებაზე ორიენტირებული სახელმწიფოს მშენებლობაში;
3. უზრუნველყოს ევროკავშირის ყოვლისმომცველი სტრატეგიის მხარდაჭერა ბოსნია-ჰერცეგოვინაში;


ოპერაცია მონიტორინგს უწევს და ეხმარება ადგილობრივ ხელისუფლებას, დეიტონის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკითხებისა და დავალებების შესაბამისად შესრულებაში, მაგალითად როგორცაა სამხედრო და სამოქალაქო კუთხით, იარაღის კონტროლის მიმართულება, ასევე ტყვია-წამლის, ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და იარაღის საწყობების კონტროლი.

როგორც უკვე ვთქვით, აღნიშნული ოპერაცია მოქმედებს “Berlin Plus”-ის შეთანხმების ფარგლებში. ოპერაციის მეთაური არის გენერალი Sir Adrian Jhon Bradshaw(ბრიტანელი), რომელიც ამავდროულად არის ევროპაში ნატოს უმაღლესი მთავარსარდლის მოადგილე. ოპერაციის მიმართულებასა და სტრატეგიაზე კი მუშაობს ევროკავშირის პოლიტიკისა და უსაფრთხოების კომიტეტი, ევროკავშირის საბჭოს დაქვემდებარების ქვეშ.⁴⁰

ოპერაციის ერთ-ერთი მთავარი მიზანი მოსალობასთან მჭიდრო კავშირია. შესაბამისად ბოსნია-ჰერცეგოვინაში არსებობს 17 “EUFOR LOT” სახლი (საინფორმაციო მნიშვნელობის მქონე ადგილები). გეოგრაფიულად კი სახლები რეგიონების მიხედვით შემდეგნაირადაა განაწილებული.⁴¹

⁴⁰ EUROPEAN UNION COMMON SECURITY AND DEFENCE POLICY, EU military operation in bosnia and Herzegovina (Operation EUFOR ALTHEA) , http://eeas.europa.eu/archives/csdp/missions-and-operations/althea-bih/pdf/factsheet_eufor_althea_en.pdf

⁴¹ European Union EXTERNAL ACTION, EUFOR across Bosnia and Herzegovina , <http://www.euforbih.org/eufor/index.php/eufor-elements/eufor-houses>



აღნიშნულ სახლებში ცხოვრობენ მისიაში მონაწილე ადამიანები და მოსახლეობას პრაქტიკულად პირდაპირი წვდომა აქვთ მათთან. აღნიშნული ცენტრები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია მისიის და მათი მთავარი დანიშნულებაა, რომ მუდმივად ჰქონდეთ ინფორმაცია და რეაგირების საშუალება იმ მოვლენებზე, რომლებიც რეგიონში ვითარდება. შესაბამისად ყოველ ცენტრს საკუთარი არეალი გააჩნია, სადაც ისინი აკვირდებიან მოვლენების განვითარების პროცესს. მთავარი ცენტრი კი ქალაქ სარაევოშია(Camp Butmir), რომლის სამუშაო არეალი მთელი ქვეყნის მასშტაბით განისაზღვრება.

EUPM ბოსნია-ჰერცეგოვინაში

დეიტონის სამშვიდობო შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ (1995), ევროკავშირი ბოსნია-ჰერცეგოვინაში სტაბილურობის შენარჩუნებაში თამაშობდა წამყვან როლს. ევროკავშირის საპოლიციო მისია ბოსნია და ჰერცეგოვინაში არის ევროკავშირის და სხვა მოთამაშეების მიერ ქვეყანაში კანონის უზენაესობის გაძლიერების მცდელობის

შემადგენელი ნაწილი. ევროკავშირის საპოლიციო მისია, ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში განხორციელებული პირველი მისიაა, დაიწყო 2003 წლის 1 იანვარს, თავდაპირველად 3 წლის ვადით. ბოსნია და ჰერცეგოვინას ხელისუფლების გადაწყვეტილების საფუძველზე, ევროკავშირის საპოლიციო მისია გახანგძლივდა შეცვლილი მანდატითა და მოცულობით 2012 წლის 30 ივნისამდე.

პირველი ნაბიჯი რაც ამ მისიის ფარგლებში გადაიდგა, იყო ბოსნია-ჰერცეგოვინის პოლიციის წვრთნა, აღჭურვა და დასავლურ სტანდარტებთან მიახლოება, რათა მათ შესაბამისად ემოქმედათ ყველა იმ გამოწვევებისთვის რის წინაშეც შეიძლება დამდგარიყო ქვეყანა. კონკრეტულად კი აღნიშნული მისიის ფარგლებში დიდი ყურადღება ეთმობოდა პოლიციის რეფორმას, რათა ადგილობრივ პოლიციას შეძლებოდა ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლა. მუშაობა მიმდინარეობდა პოლიციის 15 სადგურს შორის კოორდინირებულ მუშაობაზე, ასევე სამართალდამცველებსა და სასამართლო ხელისუფლებას შორის ერთობლივი სტრატეგიის შექმნაზე და მათ პრაქტიკაში განხორციელებაზე.

პუნქტების მიხედვით კი, EUPM მისიის ძირითადი მიზნები და ამოცანები შეიძლება შემდეგნაირად განისაზღვროს :

1. საოპერაციო შესაძლებლობების გაძლიერება და აღმასრულებელი ორგანოების ჩართულობა ორგანიზებულ დანაშაულსა და კორუფციასთან ბრძოლაში
2. საგამოძიებო საქმიანობის განხორციელებაში ხელშეწყობა და მხარდაჭერა სისტემურ დონეზე
3. ხელი შეუწყოს სისხლის სამართლის დანაშაულებების გამოძიებას და პოლიციის მუშაობის განვითარებას სამდევრო ოპერაციებში
4. გააძლიეროს პოლიციასა და პენიტენციურ სისტემას შორის თანამშრომლობა
5. ანგარიშვალდებულების სასურველი დონის გარანტირებაში წვლილის შეტენა⁴²

⁴² COMMON SECURITY AND DEFENCE POLICY, European Union Police Mission in Bosnia and Herzegovina (EUPM) , http://eeas.europa.eu/archives/docs/csdp/missions-and-operations/eupm-bih/pdf/25062012_factsheet_eupm-bih_en.pdf

წვრთნებისა და სწავლებების ჩატარების გარდა აღნიშნული მისია ასევე გულისხმობს პროცესებზე მონიტორინგსა და რჩევების გაცემას სახელმწიფო დონეზე.

თავდაპირველად მისიის სათაო ოფისი მდებარეობდა ქალაქ სარაევოში. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში კი მისიის ფარგლებში, ქალაქ სარაევოში 4 რეგიონალური ოფისი ამოქმედდა : Banja , Luka , Mostar და Tuzla. მნიშვნელოვანი ის შედეგები რაც აღნიშნულმა მისიამ მოუტანა ქვეყანას, კონკრეტულად კი პოლიციის რეფორმის ფარგლებში. მაგალითად, პოლიცია და სასამართლო სისტემა განავითარა და მიაღწია თანამშრომლობის შესაბამის ფორმას. შეიქმნა და ამოქმედდა ის კანონები და წესები, რომლის ფარგლებშიც პოლიციას ეძლევა საკუთარი საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა. მნიშვნელოვნად გაიზარდა ბოსნიის პოლიციის მხრიდან ჩატარებული ოპერაციების რაოდენობა და გაუმჯობესდა ხარისხი ორგანიზებული დანაშაულებების წინააღმდეგ. ამასთან EUPM დაეხმარა პოლიციას მოსახლეობაში საკუთარი იმიჯის შექმნაში და შესაბამის დონეზე საჯარო ინფორმაციებისა თუ კამპანიების განხორციელებაში.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს “Berlin Plus”-ის ფარგლებში ევროკავშირისა და ნატოს მჭიდრო თანამშრომლობა. ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა ძირითადად სამხედრო გადაწყვეტილებების კუთხით ხორციელდება. მაგალითად, ოპერაციის დაწყებამდე ნატო უზრუნველყოფს ოპერაციის დაგეგმვის პროცესს, ამასთან ოპერაციის მსვლელობის ნებისმიერ მომენტში შეუძლია ევროკავშირს საკუთარი მისიების ფარგლებში სთხოვოს ნატოს დახმარება ოპერაციების შესაბამის დონეზე ორგანიზებისა და კოორდინაციის მიმართულებით. კონკრეტულად კი ევროპაში მოკავშირეთა ძალების მეთაურის მოადგილეს შეუძლია ჩაიბაროს ევროკავშირის მიერ ორგანიზებული სამხედრო მისია თუ ამას საჭიროება მოითხოვს. ამასთან ევროკავშირს შეუძლია სურვილის შემთხვევაში გამოიყენოს ნატოს შესაძლებლობები საკუთარი მისიის ფარგლებში, რაც კიდევ უფრო ორგანიზებულს გახდის ოპერაციის დაგეგმარებასა და წარმოებას.⁴³

იმის გათვალისწინებით თუ რამდენად ძლიერი ორგანიზაციაა ნატო, მისი ეკონომიკური და სამხედრო შესაძლებლობების გათავისწინებით, ევროკავშირის

⁴³ SEE*ing European Security Architecture, Svetoslav Spassov

ნატოსთან მჭიდრო ურთიერთობა კიდევ უფრო ხაზს უსვამს დაგეგმილი ოპერაციების წარმატებასა და მის მიყვანას კონკრეტულ შედეგებამდე ცალკეული სახელმწიფოებისთვის.

დასკვნა

ნაშრომში გამოყენებული მასალიდან შესაძლებელია გარკვეული დასკვნების გაკეთება.

ევროკავშირმა თავისი ისტორიის მანძილზე განვლო უამრავი სტადია და განახორციელა უამრავი რეფორმა. თითოეული ეს ნაბიჯი განპირობებული იყო ახალი გარემოებების და ახალი გამოწვევების შესაბამისად. დღეს თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ საერთაშორისო ასპარეზზე ევროკავშირი გახლავთ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტორი. ევროკავშირი გახლავთ საერთაშორისო მშვიდობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტი. ევროკავშირის თითოეული მოქმედება იმას ცხადყოფს, რომ უსაფრთხოების სფეროში ძალებს არ ზოგავენ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. გადამწყვეტი საწყისი წვლილი ამსტერდამის შეთანხმებას მიუძღვის, რომელიც ჩადებული იყო საერთაშორისო-სამართლებრივ ბაზაში, კერძოდ კი ევროპის უსაფრთხოების და თავდაცვის სფეროში. სწორედ მან შეუქმნა პირობები, რათა ევროკავშირის, საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საფუძველებიდან გამომდინარე, თანდათან განეკითვარებინა საერთო უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკა. ევროპის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ჩამოყალიბების შემდგომ ევროკავშირი გახდა მნიშვნელოვანი აქტორი თანამედროვე მსოფლიოში. როგორც ვიცით ევროკავშირი არ არის სამხედრო ორგანიზაცია, შესაბამისად შეგვიძლია იმ დასკვნის გამოტანა რომ ძალისმიერი მეთოდები არ არის ერთადერთი ფორმა კონფლიქტების დასარეგულირებლად. ევროკავშირის განვითარება დამოკიდებულია მის შესაძლებლობებზე თუ როგორ დააკმაყოფილებს სხვადასხვა საჭიროებებს. ევროკავშირის წინსვლისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია გაუმკლავდეს შიდა და გარე უსაფრთხოების გამოწვევებს დროის და გარემოებების შესაბამისად. თავისი ისტორიის მანძილზე ევროკავშირი ხშირ შემთხვევაში ამას ყოველთვის აკეთებდა და სავარაუდოდ მომავალშიც შეძლებს ამ გამოწვევების გამკლავებას.

ევროკავშირის თანამშრომლობას საქართველოსთან უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია დარჩა ერთადერთი ოფიციალური მანდატით აღჭურვილი სამშვიდობო მისია გაეროს სადამკვირვებლო

მისიის გასვლის შემდეგ, ევროკავშირმა საქართველოს უდიდესი დახმარება გაუწია მძიმე პერიოდში როდესაც ქვეყანას სჭირდებოდა და გამოავლინა მნიშვნელოვანი მხარდაჭერა. საერთაშორისო ასპარეზზე ევროკავშირის მხარდაჭერა მნიშვნელოვანი პროცესია. ევროკავშირმა ამ დროის განმავლობაში უამრავი მნიშვნელოვანი ჩართულობა გააკეთა მშვიდობისა და საქართველოს განვითარების კუთხით. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ დღევანდელ რეალობაში საქართველოსთვის სადამკვირვებლო მისია გახლავთ მშვიდობის შენარჩუნებისთვის ყველაზე მკაფიო ბერკეტი. აუცილებელია ასევე იმის თქმა, რომ სადამკვირვებლო მისიას შეზღუდული აქვს სასაზღვრე ზოლზე. ევ მოქმედება და საქმიანობას ვერ აწარმოებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ამის მიუხედავად მათი მოქმედებები მაინც ნაყოფიერია. აღსანიშნავია ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები, რომელიც ერთადერთი ქმედითი პლატფორმაა საქართველოსთან მიმართებაში. ეს პლატფორმა წარმოადგენს კონფლიქტის მონაწილე მხარეების ინფორმაციის გაზიარების და მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარების შესაძლებლობას, მაგრამ ასევე უნდა ითქვას მის ნაკლოვანებაზეც. ეს პლატფორმა გახლავთ გაუმჭირვალე რაც ძალიან დიდი მინუსია გარკვეულ უნდობლობასაც იწვევს. ევროკავშირის ჩართულობის შეფასებისას საქართველოში არ უნდა დაგვრჩეს ყურადღების მიღმა ის შემაფერხებელი ფაქტორები რაც არის ამ გარემოებებში, მნიშვნელოვანი შემაფარხებელი ფაქტორი რა თქმა უნდა რუსეთი და მისი ქმედებებია. ერთი რამ გასათვალისწინებელი და აუცილებლად სათქმელია, ევროკავშირის მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხზე არის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტია ევროკავშირი საქართველოსთვის რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ. ნებისმიერი ჩართულობა ევროკავშირის მიერ საქართველოში არის მისასალმებელი.

კონსულტაციებმა აჩვენა, რომ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში უსაფრთხოებისთვის უფრო დიდი მნიშვნელობის მინიჭების სურვილს ძალიან ბევრი პარტნიორი გამოთქვამდა. ამის მიზეზია პარტნიორების მოქნილობის გაზრდა დღეს არსებულ გამოწვევებთან. უსაფრთხოებაზე აქცენტის გაკეთება სამეზობლოს ფარგლებში თანამშრომლობის ახალ სფეროებს შექმნის. თანამშრომლობისას ასევე შესაძლებელია უსაფრთხოების სფეროს რეფორმირება, საზღვრების დაცვა,

ტერორიზმთან და რადიკალიზაციასთან გამკლავება და კრიზისების მართვა. უმნიშვნელოვანესია პარტნიორი ქვეყნების დახმარება და გაძლიერება. ისინი ამით შეძლებენ თავიდან აიცილონ კრიზისები და თვითონ მართონ. დღევანდელ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გამოწვევებიდან გამომდინარე, ევროკავშირმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს უსაფრთხოების სფეროს რეფორმირებას.

განახლებული ევროპის სამეზობლო პოლიტიკის მთავარი გამოწვევა იქნება ტერორიზმთან ბრძოლა და რადიკალიზაციის თავიდან აცილება. ასევე კორუფციასთან ბრძოლა, თანამშრომლობის გაუმჯობესება მართლმსაჯულების და სისხლის სამართლის საკითხებში, კიბერდანაშაულთან ბრძოლა და ა.შ. პარტნიორ ქვეყნებს სჭირდებათ სამოქალაქო და სამხედრო უსაფრთხოების საკითხებში დახმარება. ასეთი ტიპის თანამშრომლობაში მოიაზრება რჩევები პოლიტიკის სფეროში, დიალოგი სამოქალაქო საზოგადოებასთან და უსაფრთხოების პროგრამების მხარდაჭერა.

რაც შეეხება ბოსნიასა და საქართველოს მაგალითებს და მათ შედარებებს, რეფორმების განხორციელების მიმართულებით ორივე ქვეყანა წარმატებულია და პროცესი გრძელდება. კონკრეტულად კი მართლმსაჯულების, ეკონომიკისა და ვაჭრობის და ასევე განათლების მიმართულებებით და ეს ყოველივე მაგალითებიდანაც კარგად ჩანს. უსაფრთხოების საკითხების თვალსაზრისით ქვეყნებში განსხვავებული რეალობის გათვალისწინებით(საქართველოს შემთხვევაში გვაქვს ოკუპირებული ტერიტორიები და ევროკავშირის მისია ამ ტერიტორიებზე პრაქტიკულად ვერ ვრცელდება), სამუშაო პროცესი რა თქმა უნდა ანალოგიური ვერ იქნება. ამის თქმა შეგვიძლია მისიის ეფექტიანობაზე გარკვეული მიმართულებებით, რადგან როგორც უკვე აღინიშნა მისიის ფარგლებში გადადგმული ნაბიჯები არ ვრცელდება კონკრეტულად აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. შესაბამისად განსხვავებული რეალობიდან გამომდინარე, სათქმელია რომ ევროკავშირის ჩართულობა ბოსნიაში უფრო ეფექტიანია ვიდრე საქართველოში. რაც შეეხება სამომავლოდ გადასადგმელ ნაბიჯებს, საჭიროა რომ მისიის მეტი ეფექტიანობისთვის საქართველომ და ევროკავშირმა მისიის მიზნებზე და მის განხორციელების ახალ გზებზე იმსჯელონ, რათა მისია უფრო ეფექტიანი გახდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

საქართველო და ევროკავშირი, <http://infocenter.gov.ge/euinfo-history/#1>

ევროკავშირის პოლიტიკა, სერგი კაპანაძე

საქართველო და ევროკავშირი, საინფორმაციო ცენტრი <http://infocenter.gov.ge/euinfo-institutions/#1>

Why Big Nations Lose Small Wars : The Politics of Asymmetric Conflict, Andrew Mack

საქართველო საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

<http://www.mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy.aspx>

European Union Naval Force Somalia Operation Atalanta,

http://www.europarl.europa.eu/meetdocs/2014_2019/documents/sede/dv/sede240914factsheete_unavfor_/sede240914factsheeteunavfor_en.pdf

Dov LYNCH and Antonio MISSIROL, ESDP operations, Institute for security studies, 2009.

<http://www.peacepalacelibrary.nl/ebooks/files/09-dvl-am.pdf>

European Union external action, „what is EULEX?“, St. Muharrem

Fejza, P.O. Box: 268, 10000 Pristina, Kosovo <http://www.eulex-kosovo.eu/en/info/whatisEulex.php>

“Military Bodies of the European Union and the Planning and Conduct of EU-led Military Operations” in Maartje Rutten, *From St. Malo to Nice, European Defence: Core Documents*, Chaillot Paper No. 47, WEU Institute for Security Studies, Paris, May 2001: pp. 107-120.

Willem van Eekelen, “From Words to Deeds: the Continuing Debate on European Security,” *Centre for European Policy Studies and Geneva Centre for the Democratic Control of Armed Forces*, 2006: pp. 47-49.

Ibid; Missiroli, p. 66.

ევროკავშირის პოლიტიკა : მიმდინარე საკითხები , საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი

Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the Economic and Social Committee and the Committee of the Regions : the European Agenda on Security, COM (2015) 185 final

The European Agenda on Security (COM(2015)185 final)

Cybersecurity Strategy of the European Union: An Open, Safe and Secure Cyberspace (JOIN(2013) 1 final)

Six Point Peace Place, Documented by the Government of Georgia,
<http://smr.gov.ge/Uploads/9bbbc7.pdf>

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, smr.gov.ge

კონფლიქტის ადრეული გამოვლენის და მშვიდობის მშენებლობის პროცესში ევროკავშირის მონაწილეების ანალიზი/შეფასება , ნანი მაჭარაშვილი, ეკატერინე ბასილაია, ნიკოლოზ სამხარაძე,
ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რადიო თავისუფლება, ტალიავინის დასკვნა ქართულად,
<https://www.radiotavisupleba.ge/a/taliavinis-komisiis-daskvna/25212133.html>

HEINRICH Böll STIFTUNG, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროს დაკვეთა

<https://eumm.eu/ge/> , EUMM ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში

ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში ,
https://eeas.europa.eu/delegations/georgia_ka

EU NEIGHBOURS east, პროექტი „ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლო“ ,
[https://www.euneighbours.eu/sites/default/files/publications/2018-07/EU%20NEIGHBOURS%20east AnnualSurvey2018report GEORGIA.pdf](https://www.euneighbours.eu/sites/default/files/publications/2018-07/EU%20NEIGHBOURS%20east%20AnnualSurvey2018report%20GEORGIA.pdf)

European Union EXTERNAL ACTION , <http://www.euforbih.org/eufor/index.php/about-eufor/background>

European Bank for Reconstruction and Development, <https://www.ebrd.com/news/2018/ebrd-and-eu-supporting-small-businesses-in-bosnia-and-herzegovina.html>

European Commission – Fact Sheet , Key findings of the 2018 Report on Bosnia and Herzegovina , Brussels, 17 April 2018 , [http://europa.eu/rapid/press-release MEMO-18-3408_en.pdf](http://europa.eu/rapid/press-release_MEMO-18-3408_en.pdf)

GREEN EUROPEAN JOURNAL, A NEVER-ENDING ACCESSION PROCESS? BOSNIA AND HERZEGOVINA AND THE EU, <https://www.greeneuropeanjournal.eu/a-never-ending-accession-process-bosnia-and-herzegovinas-long-road-to-the-eu/>

EUROPEAN UNION COMMON SECURITY AND DEFENCE POLICY, EU military operation in bosnia and Herzegovina (Operation EUFOR ALTHEA) ,
http://eeas.europa.eu/archives/csdp/missions-and-operations/althea-bih/pdf/factsheet_eufor_althea_en.pdf

European Union EXTERNAL ACTION, EUFOR across Bosnia and Herzegovina ,
<http://www.euforbih.org/eufor/index.php/eufor-elements/eufor-houses>

COMMON SECURITY AND DEFENCE POLICY, European Union Police Mission in Bosnia and Herzegovina (EUPM) , http://eeas.europa.eu/archives/docs/csdp/missions-and-operations/eupm-bih/pdf/25062012_factsheet_eupm-bih_en.pdf

SEE*ing European Security Architecture, Svetoslav Spassov

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Lasha Kakashvili

The EU Common Foreign Policy and Security Policy Priorities toward
Bosnia-Herzegovina and Georgia

(Comparative Analysis)

Master Program in Conflicts Analysis and Management of the Faculty of
Social and Political Sciences

In fulfillment of requirements for the degree of Master of Arts

supervisor: Vakhtang Maisaia – Doctor of political sciences

Tbilisi, 2018

დანართები:

დანართი №1

მთავარი პარტნიორები					
გერო	კოთა	ევროკავშირი	ნატო	ევროპის საბჭო	პარტნიორი ქვეყნები

დანართი №2



Documented by the Government of Georgia

Russian Aggression of Georgia

Six Point Peace Plan

Le Président de la République

Protocole d'accord

- 1/ Ne pas recourir à la force.
- 2/ Cesser les hostilités de façon définitive.
- 3/ Donner libre accès à l'aide humanitaire.
- 4/ Les forces militaires géorgiennes devront se retirer dans leurs lieux habituels de cantonnement.
- 5/ Les forces militaires russes devront se retirer sur les lignes antérieures au déclenchement des hostilités. Dans l'attente d'un mécanisme international, les forces de paix russes mettront en œuvre des mesures additionnelles de sécurité.
- 6/ Ouverture de discussions internationales sur les modalités de sécurité et de stabilité en Abkhazie et en Ossétie du Sud.

Pour l'Union européenne,
la Présidence française

Nicolas Sarkozy

დანართი №3

